

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

არნოლდ ჩიქობავას საკითხავები

XXXIII

2022 წლის 17-19 მაისი

მ ა ს ა ლ ე ბ ი

თბილისი
2022

2022 წლის 17-19 მაისს გაიმართება სამეცნიერო სესია „**არნოლდ ჩიქობავას საკითხავეები**“. სხდომები ჩატარდება დისტანციურად Zoom-ის გამოყენებით:

<https://zoom.us/j/7057327817?pwd=NEtvalRDdjYxNzVxZWZkYTdFNjUT09>

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მომხსენებელს – 10 წუთი
მსჯელობაში მონაწილეს – 3 წუთი

რედაქტორი – **ვ. შენგელია**

© თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN

მ უ შ ა ო ზ ი ს გ ე გ მ ა

17 მაისი, 12 საათი

თავმჯდომარეები: **ნ. მაჭავარიანი, ს. ოშიაძე**

ვ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, არნოლდ ჩიქობავა და ცენზურა

ს. ჭ ა ა ვ ა, სტუდენტების – ბენედიკტე ჩიქობავასა და ვარლამ თოფურიას სამეცნიერო მოგზაურობები სამეგრელოში 1920 წელს (საარქივო მასალების მიხედვით)

ქ. მ ა რ გ ი ა ნ ი, ნათესაობის აღმნიშვნელი ზოგი სვანური ლექსების მიმართება ქართველურ ენობრივ სივრცესთან (სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი)

თ. გ ვ ა ნ ც ე ლ ა ძ ე, აჩაბადის, აჩბას, აჩაბეთისა და მაჩაბლის მიმართებისათვის

თ. ლ ო მ თ ა ძ ე, შვილის აღმნიშვნელი ლექსიკა ქართველ ებრაელთა მეტყველებაში

ლ. კ ე ლ ა უ რ ა ძ ე, კიდევ ერთხელ „გამყრელიძის წესის“ შესახებ

მ. ბ უ კ ი ა, კულინარიული ლექსიკა ლაზურში სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი

ბ. ყ ა ნ დ ა შ ვ ი ლ ი, დიალექტიზმები დიმიტრი მაჩხანელის პროზაში

მ. თ ე თ რ ა ძ ე, შირინბეი ჰაჯიელის „ინგილოები“ – ინგილოთა ეთნოგენეზის საკითხები აზერბაიჯანულენოვან სამეცნიერო დისკურსში

ა. ბ ა ს ი ლ ა შ ვ ი ლ ი, „ყვავილის“ აღმნიშვნელი საერთოკავკასიური ძირი უდიურ და ქართულ ენებში

18 მაისი, 12 საათი

თავმჯდომარეები: **თ. ბურჭულაძე, თ. გვანცელაძე**

მ. ლ ლ ო ნ ტ ი, ნათლისღებასთან დაკავშირებული ლექსიკის უკუფენილი ფუნქციური სემანტიკისათვის ქართულში (ნათლია და ნათლიდედა)

თ. ვ ა შ ა კ ი ძ ე, ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელ დანართთა მართლწერისათვის

ნ. ა რ დ ო ტ ე ლ ი, სონანტთა საკითხისათვის ნახურ-დადესტნურ ენებში

მ. ჩ უ ხ უ ა, შენიშვნები სვანურის ბრუნვათა შედგენილობაზე

მ. ს ა ლ ლ ი ა ნ ი, ხორხის/ყორყის/ყანყრატოს და ა. შ. აღმნიშვნელ სომატურ ერთეულთა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზისათვის სვანურში

- ნ. შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი, კორელატა მონაცვლეობა მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში
- ე. შ ე ნ გ ე ლ ი ა, მეგრული წილიშ- ი (|| წილიშუა || წილიშაფა) სიტყვის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი
- მ. ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა, -ა მავრცობის გამოყენებისათვის თანამედროვე ქართულში
- ლ. გ ი გ ლ ე მ ი ა ნ ი, პეტრე ჭარაია სვანური ლექსიკის შესახებ
- მ. ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე, ენის ფილოსოფიის საკითხები შოთა ნიშნიანიძის ბელეტრისტულ პოემაში „მუსიკის აპოლოგია“

19 მაისი, 12 საათი

თავმჯდომარეები: **თ. ვაშაკიძე, ვ. შენგელია**

- ი. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე, სვანეთი და დიალექტური ნიუანსები XIX საუკუნეში მოღვაწე უცხოელ მეცნიერთა (არალინგვისტთა) სვანურ მასალებში
- გ. გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, დიალექტიზმები ილია ჭავჭავაძის პროზაში
- ს. ო მ ი ა ძ ე, მაკროკონცეპტ „ნათესავის“ აღმნიშვნელები
- ქ. დ ა თ უ კ ი შ ვ ი ლ ი, ნაწილაკთა დერივაციული ფუნქციისათვის
- თ. ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე, ერთი სახის ატრიბუტული მსაზღვრელის თავისებურებისათვის

- ც. ჯ ა ნ ჯ ღ ა ვ ა , თ. ლ ო მ თ ა ძ ე , მ. თ ე თ რ ა ძ ე , რატომ არის აუცილებელი ებრაელთა ქართულის დოკუმენტაცია?
- ნ. ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე , ზოგი „საბავშვო“ სიტყვის ისტორიისათვის
- ნ. ხ ო ჭ ო ლ ა ვ ა - მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი , დენდრონიმი „აღვა“ და მისი მრავალფეროვანი სინონიმების ასახვის საკითხი „მცენარეთა სახელების კრებვით ლექსიკონში“
- რ. ლ ო ლ უ ა , კავკასიის ალბანური ენის ადგილისათვის მონათესავე ენათა შორის (გლოტოქრონოლოგიის მონაცემებით)

სონანტა საკითხისათვის ნახურ-დალესტნურ ენებში

1. ნახურ-დალესტნურ ენებში სონანტებს (resp. ნახევარხმოვნებს) უაღრესად მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრება - შუაენისმიერი **ა** და წყვილბაგისმიერი **ჟ**, გრამატიკული კლასის ექსპონენტად გამოიყენების გარდა, ფუძისეულ მორფემებში დასტურდება. ამასთანავე, წყვილბაგისმიერი სონანტი **ჟ** ლაბიალიზებული თანხმომვანთკომპლექსის კომპონენტადაც გვხვდება, მაგ.: **ა**: ჩეჩნ. **ა-ო'**, ინგ. **ა-ო'**, ბაცბ. **ა-ოჰ**, ხუნძ. **ა-ას**, ანდ. **ა-ოში**, ახვ. **ა-აშა**, დარგ. **ა-უსაე** „გოგო, ქალიშვილი“...; **ჟ**: ჩეჩნ. **ჟ-აშა**, ინგ. **ჟ-ოშა**, ხუნძ. **ჟ-აცა** ანდ. **ჟ-ოცაი**, ახვ. **ჟ-აცაი**, დიდ. ესიჟ (<*ჟ-ესიჟ), ლაკ. უსაჟ (< *ჟ-ასაჟ), დარგ. **ჟ-აცაი** (სირხ.), კავკ. ალბ., უდ. **ჟ-იჩი** „ძმა“, ჩეჩნ. **ჟ-ჟ-ი-ი**, ხუნძ. **ჟ-ჟ-ნა** (<*ჟ-ი-ჟ-ჟ-ნა), ანდ. **ჟ-ი-ჟ-ი**, ახვ. **ჟ-ე-ჟ-ა-რი**, საკ. დიდ. **ჟ-ი-ჟ-სი** „გაავსო“ და მისთ.

2. თანხმომვანთკომპლექსების ანალიზისას მნიშვნელოვანია მკაფიოდ გაიმიჯნოს ცალკეულ მორფემებში და მორფემათა ზღვარზე თავჩენილი თანხმომვანთიმედევრობანი. ჩვენთვის ამჟამად პრინციპულად მნიშვნელოვანია ოდენ ერთი მორფემის ფარგლებში დადასტურებული **CW** ტიპის ლაბიალიზებული თანხმომვანთჯგუფები, რომლებიც სავარაუდოდ დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო საკვლევი ფუძეენისთვის. ამ თვალსაზრისით, ცალკე დგას **ა** სონანტი, რომელიც ოდენ ხმომვანთა მეზობლად არის რეალიზებული და ქმნის აღმავალ თუ დამავალ დიფთონგებს.

3. სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია **C+W** მოდელის ლაბიალიზებული კომპლექსის (resp. ბილაბიალიზებული თანხმომვნის) სამგვარი ინტერპრეტაცია, რომელთაგან ყველაზე მეტად დამაჯერებელი ჩანს მოსაზრება მისი ბიფონემური ბუნების შესახებ (არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, ტ. გუდავა, ბ. გიგინეიშვილი). მართალია, საკვლევ ენათა მიხედვით, ამ კომპლექსის კომპონენტები არათანაბრად არიან შერწყმულ-შენივთებული, თუმცა იგი უდრის დამოუკიდებელი ფონემების (კონსონანტი+სონანტი) არითმეტიკულ ჯამს, რომლის მეორე კომპონენტი ნაირგვარ ფონეტიკურ ცვლილებას

განიცდის. ლაბიალიზებული კომპლექსის დისტრიბუცია სინქრონიულ დონეზე ანლაუტით (**#-V**) და ინლაუტით (**C-V, V-V**) შემოიფარგლება. მასთან, საანალიზო კომპლექსის წინამავალ კომპონენტად მეტწილად უკანანისმიერი და ფარინგალური თანხმოვნები გვხვდება. იგი თავს შედარებით იშვიათად იჩენს წინანისმიერ ხმოვნებთან და სპირანტებთან. ხანდახან ინლაუტში **ნ** სონორიც შეიმჩნევა. გასაგები მიზეზების გამო, **ჟ**-ს წინამავალ კომპონენტად არ დასტურდება **მ, ნ, ლ** სონორები, **ბ, ფ, პ** ბაგისმიერი ხშულები და **ა, ჟ** სონანტები .

4. ლაბიალიზებული კომპლექსები დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ნახურ-დადესტნური ფუძეენისთვის. მართალია, სინქრონიულ დონეზე **C+W** კომპლექსი დასტურდება ანლაუტში, რაც სრულხმოვნობის პირობებში საკვლევ ენათა ფონოტაქტიკისთვის არაკანონზომიერია, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს სონანტკომპონენტის კომპლექსი. გარდა ამისა, ის ლექსელები, რომლებიც ანლაუტში ასეთ კომპლექსს გვიჩვენებენ, შეიძლება ისტორიული ინლაუტის ვითარებას (განსაკუთრებით ზმნებში) ავლენდნენ, მაგ.: ხუნძ. ხჷ-ეზე (<***ზ-V-ხჷ-ეზე**), საკ. დიდ. **ზ-ე-ხჷ-ა**, ბეჟ. **ზ-უ-ლ-ალ** (<***ზ-ი-ლჷ-ალ**) „მოკვდომა“...

ანლაუტში **C+W** კომპლექსი ნიშანდობლივი არ უნდა ყოფილიყო, რაზეც მიგვანიშნებს საკვლევ ენებში ამ ტიპის კომპლექსთა გამარტივების ძლიერი ტენდენცია, მაგ.: ჩეჩნ. სედა (<***სჷედა**), ხუნძ. წჷ-ა, ანდ. წჷ-ალი, ბოთლ. წჷ-ა, აზვ. წჷ-ა, საკ. დიდ., ჰინ. ც-ა (< ***ცჷ-ა**), ბეჟ. ც-ან (< ***ცჷ-ან**) „ვარსკვლავი“, ხუნძ. ჰჷ-ე, ჰ-ოდ, ჰ-ე (დალ. ვარ), ანდ. ხჷ-ოდ, ხ-ოდ (დალ. ვარ.), აზვ. ხჷ-ე, საკ. დიდ. ლჷ-ად, ჰინ. ლჷ-ე, ბეჟ. ჟო (<***ლჷ-ო**) „ძალი“ და მისთ.

„ყვავილის“ აღმნიშვნელი საერთოკავკასიური ძირი უდიურ და ქართულ ენებში

უდიურსა და ქართულში არაერთი საერთოკავკასიური წარმოშობის ლექსემა დასტურდება, რომელთაც თავის მხრივ შესატყვისები მოეპოვებათ შიდაჯგუფურ ენობრივ ერთობაში – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის დაღესტნურ და ქართველურ ჯგუფებში. თუმცა ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლის ისტორიის გათვალისწინებით, მოულოდნელი არ იქნება, თუ ფუძემდებელი წარმომავლობის ძირ-ფუძეები მხოლოდ ორ მონათესავე, მაგრამ სხვადასხვა ჯგუფის ენების ლექსიკურ ფონდში აღმოჩნდება, რომელთა შიდაჯგუფური შესატყვისობები ვერ გამოვლინდება. ამ ფონზე საინტერესო ჩანს, უდიურსა და ქართულში პოვნიერი „ყვავილის“ აღმნიშვნელი სიტყვები, რომელთა ეტიმოლოგიური სეგმენტაციის საფუძველზე, დიდი ალბათობით, საერთოკავკასიური ძირი გამოვლინდება.

უდიურში „ყვავილის“ აღმნიშვნელი სიტყვაა **ციციკ**. უდიური ენის ისტორიული სიტყვაწარმოების გათვალისწინებით, -იკ კნიზობით-საალერსო სუფიქსად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც ძირთან (ციც-) შეხორცდა და სიტყვის ერთიან ფუძედ იქცა. ამგვარი ფუძეები უდიურში არაერთია დადასტურებული: ბინ-იკ „თოჯინა“ (შდრ.: ბინ „პატარძალი“), ხალ-იკ „ბიძა (დედის ძმა)“ (შდრ.: თაბას. ხალუ „ბიძა“), სხტ-იკ „კოჭლი“ (სხტესუნ „კოჭლობა“) და სხვ. ყვავილის აღმნიშვნელ სიტყვასთან ალერსობითი სუფიქსის გამოყენება ლოგიკურია. ამდენად, უდიურში **ციც**-ძირი გამონაწევრდება „ყვავილის“ აღმნიშვნელად.

ქართული ენის დიალექტებში უხვად მოიპოვება **ციც**-ძირის შემცველი „ყვავილის“ („მცენარის“) აღმნიშვნელი სიტყვები: (ფშ.) **ციც**-უნ-ა/**ციც**-უა „დგნალის ყვავილი/დგნალის კვირტები“, (იმერ.) **ციც**-უნ-ია „ფუნთუშა, მცენარე“, (ლეჩხ.) **ციც**-უნ-ია/ე „ბუმბული, რომელსაც ტირიფი ისხამს გაფოთლებამდის“, (იმერ.) **ციც**-ინ-ო „კესანე“, (აჭარ.) **ციც**-ა/**ციც**-ელ-ა „მდგნალი“, (ზ. აჭარ.) **ციც**-ალ-ა „მცენარე, ევკალიპტის ხესა ჰგავს, წვრილი ფოთლები იცის“ (შდრ.: **ციცა** „მტვენისებური ყვავილედი (არყისა, ვერხვისა და სხვ.)“ – ქეგლი).

როგორც ვხედავთ, უდიურის მსგავსად, ქართულშიც უნდა გამოვყოთ **ცოც**- ძირი და მასთან შეხორცებული ალერსობითი სუფიქსები: უნ-ა, უნ-ია, -ინ-ო, -ა, -უა, -ელ-ა, -ალ-ა.

ქართ. **ცოც**-ა // **ცოც**-ელ-ა (მცენ.), მეგრ. **ცოც**-ან-ა „ღომის სახეობა“, სვან. **ცეც** „სიმინდის საადრეო ჯიში“ მონაცემთა შეპირისპირებით საერთოქართველური ქრონოლოგიური დონისთვის ***ცოც**- არქეტიპი „სიმინდის, ღომის სახეობა“ აღადგინა მ. ჩუხუამ. **ცოც**- ძირი მეგრულში მცენარეთა აღმნიშვნელ სხვა სიტყვებშიც უნდა გვხვდებოდეს: **ცოც**-ან-ა „კესანე“, **ცოც**-ინ-ო „ყვავილია ერთგვარი“, **ცოც**-უა „წვრილმარცვლიანი სიმინდის საადრეო ჯიში“, **ცოც**-ლატი „წვრილმარცვლიანი სიმინდის ჯიში“, **ცოც**-ლუმუ „ღომის წვრილმარცვლიანი ჯიში“. ვფიქრობ, ამ სიტყვათა ერთ ნაწილში (სავარაუდოდ, უკანასკნელ ორ კომპოზიტში) **ცოც**- ძირი შესაძლებელია მეგრულშივე დადასტურებულ **ცოცა** „წვრილი, პატარა“ ლექსემას უკავშირდებოდეს. ამაზე უნდა მიგვითითებდეს სალექსიკონო ერთეულთა განმარტება, რომელშიც ხაზგასმულია მცენარეთა წვრილმარცვლიანობა. როგორც ჩანს, მეგრულში ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს ორი **ცოც**- ძირი, რომელთაგან ერთი „ყვავილს, მცენარეს“ აღნიშნავს, მეორე – „პატარას, წვრილს“. რამდენადაც ქართული ენის დიალექტებში დადასტურებულ **ცოც**- ძირიან ლექსემათა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობის მნიშვნელობა „ყვავილია“ (სემანტიკური გადაწვეით ყვავილი → მცენარე), ასევე მეგრულშიც დასტურდება **ცოც**- ძირის შემცველი „ყვავილის“ აღმნიშვნელი სიტყვები (ცხადია, გასისინების მეორეული პროცესის გათვალისწინებით ***ჩიჩ**- → **ცოც**- და ქართულიდან მეგრულში ნასესხობის დაშვების გამორიცხვით), შესაძლოა საჭირო გახდეს საერთოქართველურ დონეზე ***ცოც**- „ყვავილი (ყვავილეთი)“ და ***ცოც**- „ღომის სახეობა“ არქეტიპთა დაშვება. ვფიქრობ, დასავლურ ქართულ სივრცეში, სამეგრელოსა და სვანეთში, **ცოც**- ძირის მქონე სიტყვათა მიერ „სიმინდის“ მნიშვნელობის შექმნა მეორეული მოვლენაა (შესაძლებელია დავუშვათ ღომი → სიმინდი სემანტიკური ცვლილება, რაც სრულიად ბუნებრივი იქნებოდა. დღესაც ღომს სიმინდისგან დამზადებულ კერძს ვუწოდებთ), რადგან სიმინდის კულტურა საქართველოში გვიან შემოვიდა, შესაბამისად, საერთოქართველურ დონეზე ***ცოც**- არქეტიპისთვის „სიმინდის“ მნიშვნელობის სემანტიკურ რეკონსტრუქციას ვერ დავუშვებთ. სვანური **ციცუნდრა** „მდგნალი“ სიტყვის მოხმობას ერთგვარი სინათლე შემოაქვს მსჯელობაში.

ქართული დიალექტური მონაცემების ერთმანეთთან დაკავშირების სემანტიკური საფუძველი ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: „მდგნალის ყვავილი“ (→ „მდგნალი“) / „ტირიფის ბუმბული“ / „ევკალიპტის მსგავსი, წვრილფოთლებიანი მცენარე“ (ხაზგასმა წვრილ ფოთლებზე) / „ფუნთუშა“ (ბეწვით შემოსილი, ყვავილოვანი მცენარე) / „კესანე“ (ყვავილოვანი მცენარე). აქ ჩამოთვლილ ყველა მცენარეს ყვავილის ან ყვავილედის ქონა ახასიათებს. აღსანიშნავია, რომ ძურწისებრთა გვარის წარმომადგენელი ღომის ყვავილედი მდგნალი/ტირიფის ყვავილედს გარკვეულწილად წააგავს. უაღრესად ფასეულია სულხან-საბას ლექსიკონში დადასტურებული **ციცა** „ნიგოზთა და თხილთ მჭადა ZAB“, „ნიგოზისა და თხილის ყვავილი CD“ სიტყვა, რომელიც, შეიძლება ითქვას, დამაჯერებლად ადასტურებს ზემოთ გამოთქმულ აზრს. საბასთან დადასტურებულ **ციცა**-ს უნდა შეესატყვისებოდეს გურულ დიალექტში მოძიებული **ჩიჩა**, **ჩინჩა** „მდარე ჯიშის, წვრილმარცვლიანი თხილი“, რომელსაც სემანტიკური გადაწევა განუცდია (თხილის ყვავილედი → თხილი) და შესაძლოა ზანიზმადაც ჩაითვალოს. იქნებ, იგივე ძირი ჩანდეს „ჩიჩილაკის“ აღმნიშვნელ გურულ სიტყვაშიც **ჩიჩინათალი** (ჩიჩი-ნათალი = თხილის ხისგან გამოთლილი ?).

სიფრთხილით გამოვთქვამ ვარაუდს, **ციცა**ბარდა კომპოზიტში **ციც**- „ყვავილის“ („მცენარის“) აღმნიშვნელ ძირთან გვეკონდეს საქმე, მიუხედავად იმისა, რომ მას პარალელური კომპოზიტური ცალი მოეპოვება **კატა**ბარდას სახით. **ციცა** და **კატა** კი სინონიმური წყვილია. **კატა/ციცა** სხვა მცენარეთა სახელდებაშიც იჩენს თავს და, საერთოდ, ცხოველთა სახელების გამოყენება მცენარეთა სახელწოდებებში ბუნებრივია არა მხოლოდ ქართული, არამედ, ზოგადად, სხვა ენებისთვისაც.

უსაფუძვლო არ უნდა იყოს ქალის ქართულ სახელებში: **ციცი-ნო**, **ციცა**, **ციცო ციც** - „ყვავილის“ აღმნიშვნელი ძირის გამოყოფა. ქალის საკუთარ სახელად მცენარეთა სახელწოდებები არცთუ იშვიათია: ია, იამზე, იათამზე, ვარდო, ენძელა, კესანე, ბაია, ნუშია, ფოთოლა... მიუხედავად იმისა, რომ ქალისა და კაცის ზოგადი სახელწოდება შესაძლებელია საკუთარ სახელადაც იქცეს (ქალა, ქალობა, კაცია, კაცა, კაციტა, ბიჭია, ბიჭიკო...) ზემოთაღნიშნული ქალის სახელები გურულ **ციცას** „გოგო“ არ უნდა უკავშირდებოდეს.

ქართულ **ციც**- ძირს სტრუქტურულ-სემანტიკური თვალსაზრისით იდეალურად უდგება უდიური **ციც**-. უდიური **ც** : ქართული **ც** ბგერათფარდობის კანონზომიერება სხვა შემთხვევებშიც თვალსაჩინოა: უდ. **ცა**-ფსუნ „ცელვა“, **ოცა**პკალ „ცელი“ ~ ქართ. **ცელ**-ი, **ცელ**-ვა; უდ. **ცეც** „ჩრჩილი“ ~ ქართ. **ციცი**-ნათელა...

დალესტნური ენებიდან უდიურ-ქართულის შესატყვისი უნდა იყოს ახვახურ-კარატაული **ციცი** „ყვავილი“ ლექსემა. ამ კავკასიურ ძირს საერთო არაფერი აქვს თურქულ-აზერბაიჯანულ **çiçek/çiçək** „ყვავილი“ სიტყვასთან, რომელიც ზოგიერთ კავკასიურ ენაში შემოვიდა: უბიხური **ჩიჩექ**, კრიწული **ჩიჩექ**, ინგილოური **ჩიჩაქ**...

უნდა აღინიშნოს, რომ უდიური **ციციც** „ყვავილი“ და **წიწი** „ძუძუ“ სიტყვათა გაიგივება (გ. კლიმოვი, მ. ხალილოვი) გაუგებრობას ეფუძნება.

სამომავლოდ, სხვა კავკასიური ენებიდან შეიძლება საინტერესო აღმოჩნდეს ადიღეურ-ყაბარდოული **ჩეც** „ბუჩქი“ და უბიხური **ცაცა**-ხ^ა / **ცანცა**-ხ^ა „ჭინჭარი“ მონაცემები. უბიხურ ფორმაში ნ სონორი ც-ს წინა პოზიციაში განვითარებულად, -ხ^ა კი უცნობი ფუნქციის სუფიქსად მიიჩნევა (ა. კვახაძე). თუმცა აქ უდიური **ცაც** „ეკალი“ სიტყვაც შეიძლება გაგვახსენდეს, რაც უფრო გამოწველილვითი ძიების წარმართვისკენ გვიბიძგებს.

მ ა ნ ა ნ ა ბ უ კ ი ა

კულინარიული ლექსიკა ლაზურში სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი

დარგობრივი ლექსიკის კვლევა სცილდება ლინგვისტიკის სფეროს, ის მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაძლევს ეთნოსის კულტურის, ეთნოლოგიური თავისებურების შესახებ.

განსაკუთრებით საინტერესოა ლაზურ დარგობრივ ლექსიკაზე დაკვირვება, რადგან უცხოენოვან გარემოსთან მრავალსაუკუნოვანმა თანაცხოვრებამ გარკვეული დალი დაასვა ლაზთა ლექსიკას, ყოფას.

ლაზურ კულინარიულ ლექსიკაში იკვეთება რამდენიმე შრე.

გვაქვს უცხოენოვანი ლექსიკა, კერძოდ, ლაზურ სამზარეულოში გაჩნდა ქართველურისთვის უცხო ბევრი კერძი, შესაბამისად, ლექსიკაც შეიცვალა:

აზური საჭმელი შავი ფხალისაგან; **აიანი / აირანი** (თურქ. ayran) აირანი, დო; **აშურა** საჭმლის სახელია; წლის ერთ-ერთ თვეში აკეთებენ „აშურას“ ო „თერმონის“, რომელშიაც ურევია ლობიო, ვამლი, ბროწეული და ყურძნის წვენი; **ბაკლავა / ბაქლავა** (თურქ. baklava) ნამცხვარი; ამზადებენ პურის ფქვილის ცომისაგან; **ბისქუი** ბისკვიტი; **ბულამა** რძის საჭმლის სახეობა; **ბულმა** ბაკლავის მსგავსი ნამცხვარია; **ბურედი / ბურეხი** (თურქ. burek) ტკბილი ცომეული, ნამცხვარი; **კაგაქფილაი** გოგრისგან დამზადებული კერძი; **მაჯუნი** ერთგვარი საჭმელია, წააგავს წანდილს; **იახნი** ხორცის საჭმელია; **ოზონი** საჭმელია თევზისგან; **პოსვარი** რაღაც კერძია (ა. თანდილავა); **ტუმბუ** საჭმელია ერბოთი და შაქრით; **ფატიჯანიში დოლმა** (თურქ. patlican dolmasi) ბადრიჯნის ტოლმა; **ფაჟა** ერთგვარი საჭმელია, საქონლის შიგნეულისაგან კეთდება; მოხარშავენ და ურთავენ მოხალულ ფქვილს, ნიორსა და ძმარს; ხაში; **ჩირბული** ლაზური კერძი.

გვხვდება ლაზური აფიქსებით გაფორმებული უცხოენოვანი სიტყვები:

ბინჯ-ონ-ი / ბრინჯ-ონ-ი მოხრაკული ბრინჯი, ლაზური კერძი; **თერმ-ონ-ი** ერთგვარი საჭმელია, ხორბლის, ლობიოს, ბრინჯის, თაფლის, ჩირისა და სხვ... მზადდება (საბა = თბილი შაქარწყალი)

ქართული **-იან** მაწარმოებლის ფარდი ლაზური **-ონ** სუფიქსით არის გაფორმებული სხვა ლაზური ლექსემები: **კორკოტ-ონ-ი** „საჭმელია, ცომის გუნდა“, **მეალვონი / მჯონი** „რძისა და კვახისგან დამზადებული საჭმელი“, ზედმ. „რძიანი“; **ქაფშიონი / ქაფრონი** „ქაფშია შერეული მჭადი მწვანილით“...

კერძების სახელწოდებათა ნაწილი მიმდებარებით არის გადმოცემული: **გადგიმერი** „ფხალი ან ლობიო მოხარშული“, ზედმ. „დადგმული“ (შდრ. მეგრ. **დოდგიმირი** „საკაპუნო სალოცავისთვის შეწირული სანოვავე“, ზედმ. „დადგმული“), იგივეა, რაც **ლუყუ გადგიმერი** ზედმ. „კომბოსტო დადგმული“; **გეშიელი** „ლაზური კერძის სახეობა“, ზედმ. „შემშრალი, აორთქლებული“ (შდრ. **ოშირუ** „შემშრობა, აორთქლება“); **კათერი** „ლაზური კერძის სახეობა“, ზედმ. „შერეუ-

ლი“, (შდრ. **ოკათუ** „შერევა“); **კვანერი** „ლაზური კერძის ნაირსახეობა“, ზედმ. „შეკმაზვა, შესუნელება“ (შდრ. **ოკვანუ** „შესუნელება საქმლის“).

საინტერესოა, რომ ლაზურმა შემოინახა საერთოქართველური ფორმა, რომელიც მეგრულში დაკარგულია: **ცხონი** „ყველის მაგვარი კერძი“; „ყველის მაგვარი საქმელი; ამზადებენ კვერცხებითა და ახლადმოგებული ძროხის რძისაგან“ (შდრ. ძვ. ქართ. **ჯსენი** „პირველი ნაწოვნი სძე“; სვან. **ლგჯ** „ხსენი“); **ნონცხონე** ახალმოგებული ძროხის რძისგან (ხსენისგან) დამზადებული საქმელი.

არანაკლებ საინტერესოა **ანდღვაბი** „ნაღები“ ფორმა, რომელიც ქართულ **დღვება**-ს უკავშირდება, თუმცა გასარკვევია ანლაუტის **ან**-ელემენტის სემანტიკა და ფუნქცია.

ყურადღება მიიქცია სიტყვამ **ხინკირი** „ლაზური კერძია მობარშულციომიანი“. ფორმის სეგმენტაციამ (ხინკ-ირ-ი) და ეტიმოლოგიურმა კვლევამ შედეგი ვერ მოგვცა, თუ ქართულ ხინკალ-ს დავეუკავშირებთ, სავარაუდოდ, პარალელები ჩრდილოკავკასიურ ენებში უნდა ვეძებოთ.

თ ე ა ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე

ერთი სახის ატრიბუტული მსაზღვრელის თავისებურებისათვის

ქართულ ენაში ატრიბუტული განსაზღვრება ზოგჯერ არსებითი სახელით გადმოიცემა. ძირითადად, ესაა ზომა-წონის, პროფესიის, წოდება-თანამდებობათა სახელები, მიმართვის დროს გამოსაყენებელი სიტყვები და ბევრი სხვაც (ღერი, წილი, ფრთა, ძირი...). არცთუ იშვიათად ატრიბუტულ მსაზღვრელად გვხვდება შემდეგი არსებითი სახელები: **ქალი**, **კაცი**, **დედა**. სინტაქსურ დონეზე თავისებურებას ავლენს ისეთი შესიტყვებები, რომელთა კომპონენტებად დასახელებულ სიტყვებს თან ახლავს პროფესიის, საქმიანობისა თუ გარკვეული სტატუსის აღმნიშვნელი სიტყვა: **ქალი მასწავლებელი**,

ქალი მძლოლი, ქალი მოჭადრაკე, ქალი როკერი, ქალი მმართველი, მამაკაცი მომღერალი, მამაკაცი ძიმა, მამაკაცი მძლოლი, კაცი მოჭადრაკე, კაცი მმართველი, დედა დედოფალი, დედა სულთანი... ასეთივე ტიპისაა შემდეგი სახის შესიტყვებები: **ქალი მორიელი, ქალი საოცრება, კაცი ლეგენდა...**

დასახელებულ ფორმებში პროფესიის, საქმიანობის აღმნიშვნელ სიტყვას განსაზღვრავს არსებითი სახელი. თ. უთურგაიძის თვალსაზრისით, შესიტყვებაში **ქალი მასწავლებელი ქალი** გაზედსართავებული სახელია – თვისების გამომხატველ სიტყვად არის ქცეული, დაკარგული აქვს არსებითი სახელისათვის დამახასიათებელი დისკრეტულობა და, როგორც თვისება, **მასწავლებელი** სუბსტანტივში ნავარაუდები ყველა სახელის მახასიათებელია. ამ სახის შესიტყვებათა სპეციფიკურობა იმაშიც ვლინდება, რომ, განსხვავებით სხვა სახის არსებითი სახელით წარმოდგენილი ატრიბუტული განსაზღვრებისა, ამ სახის მსაზღვრელ-საზღვრულის შებრუნებული წყობა შესაძლებელია და ბუნებრივიცაა. შევადაროთ ტრადიციული ზედსართავსახელიანი და გაზედსართავებული ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრული: **კარგი მძლოლი – მძლოლი კარგი** და **ქალი მძლოლი – მძლოლი ქალი; შესანიშნავი მასწავლებელი – მასწავლებელი შესანიშნავი** და **ქალი მასწავლებელი – მასწავლებელი ქალი, კარგი გინეკოლოგი – გინეკოლოგი კარგი** და **ქალი გინეკოლოგი – გინეკოლოგი ქალი...** პროფესიის, საქმიანობის აღმნიშვნელ საზღვრულთან ზედსართავით წარმოდგენილი მსაზღვრელი პოსტპოზიციური წყობით არ ახასიათებს ქართულს, გაზედსართავებულ სახელებთან კი ის ბუნებრივია.

სპეციფიკურია დასახელებულ შესიტყვებათა მრავლობითი რიცხვის ფორმებიც – მისი მეორე ნაწილით (საზღვრულით) აღინიშნება მრავლობითი რიცხვი, როგორც ეს ზედსართავი სახელით გადმოცემულ საზღვრულს ახასიათებს: **ქალი მოჭადრაკეები, მამაკაცი მძლოლები ან მოჭადრაკე ქალები, მძლოლი მამაკაცები...** შდრ.: დიდი სახლები, წითელი ვაშლები... ეს გარემოება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს გაზედსართავებული საზღვრულის სპეციფიკას.

**ანჩაზადის, აჩზას, აჩაზეთისა და მაჩაზლის
მიმართებისათვის**

არსებობს მოარული მოსაზრება, რომ აფხაზ თავადთა გვარსახელი **აჩზა** საფუძვლად უდევს ამ გვარის წარმომადგენელთა ქართულ **ანჩაზადე** დასახელებას. მიიჩნევა, რომ **აჩზა**-ში **-ზა** სეგმენტი იგივეა, რაც აფხაზურ გვარსახელთა მაწარმოებელი **იფა** „მისი (მამაკაცის) ძე“ სუფიქსიდიისაგან მომდინარე **-ზა** მაგვარსახელებელი სუფიქსი. შდრ.: ერთი მხრივ, ინალ-**იფა** „ინალის ძე“ (**ინალ** მამაკაცის სახელია, გავრცელებულია აფხაზთა და ჩრდილოკავკასიელთა შორის), პატე-**იფა** „პა[ა]ტას ძე“, ძაფშ-**იფა** „ძაფშის ძე“... მეორე მხრივ, **ადლე-მა** „ადლას ძე“, აჯ-**ზა** „მუხადე“, აჰაშ-**ზა** „ჰანტადე“... გვარსახელთა **ზა** დაბოლოების მქონე ვარიანტები მიღებულია **იფა** დაბოლოებაში პირველი ბგერის დაკარგვისა და **ფ > ზ** პროცესის (გამჟღერების) გზით. ქართულ **ანჩაზადე** ფორმას, მას აფხაზური **აჩზა**-საგან მომდინარედ მიიჩნევენ: აფხაზურ ვარიანტს დაემატა მეგრულის დამახასიათებელი **ნ** ბგერა და ქართულ გვარსახელთა **-ძე** დაბოლოებაო.

ამ ვარაუდის გამამყარებელ არგუმენტად მოჰყავთ ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა, რომელშიც მის თანამედროვე შიდაქართლელ „მთავართა“ აღწერისას მითითებულია შემდეგი: „**მაჩაზელი იტყვს ანჩაფიძეობას** (R რედაქცია: **ანჩაფისძეობასა**), **აფხაზეთიდან მოსლვას, გარნა ახალი არს**“ (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 34).

ამ საფუძველზე აფხაზი ისტორიკოსები და ქართველ მკვლევართა ნაწილი დაასკვნიან, რომ მაჩაზლები წარმოშობით აფხაზები (აფსუები) ყოფილან და მათი გვარსახელი თავიდან **აჩზა** იყო. კიდევ ერთ საბუთად ცხადდება გვარსახელ **მაჩაზელ**-ის კავშირი ცხინვალთან მდებარე სოფლების **ზემო აჩაზეთისა** და **ქვემო აჩაზეთის** დასახელებასთან: **აჩაზ-ეთ-ი > მ-აჩაზ-ელ-ი**, შდრ.: ეგრ-ი > **მ-ეგრ-ელ-ი**, ეგვიპტე > **მ-ეგვიპტ[ე]-ელი**, რუგ-ის-ი > **მ-როგ-ელ-ი**...

მიგვაჩნია, რომ დასახელებული გარემოებანი სულაც არ ხდიან უდავოდ დასკვნას **ანჩაზადის** აფსუური **აჩზა**-საგან მომდინარეო-

ბისა და **მაჩაბელთა** საგვარეულოსა თუ ოიკონიმ **აჩაბეთის** აფსუური ძირების შესახებ. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხებზე შემდეგია:

1. ვახუშტი ბატონიშვილი ტერმინ **აფხაზეთს** უპირატესად იყენებდა **მთელი დასავლეთ საქართველოს ზოგად სახელად**. მაგალითად, ვახუშტის ერთ-ერთი თავის სათაურად უწერია „**აღწერა ეგრისის ქუეყანისა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა**“. ამ სათაურში ქორონიმები **ეგრისის ქუეყანა, აფხაზეთი** და **იმერეთი** სრული სინონიმებია. ამ თავში აღწერილია მთელი დასავლეთ საქართველო (ვახუშტი, 1973, გვ. 742). იქვე ვახუშტი განმარტავს:

„ქუეყანისა ამის სახელნი არიან საერთოდ [საზოგადოდ – თ. გ.] სამი: პირველად [თავდაპირველად – თ. გ.] ე გ რ ის ი, მეორედ ა ფ ხ ა ზ ე თ ი, მესამედ ი მ ე რ ე თ ი. რამეთუ ე გ რ ის ი ეწოდების ეგროსის გამო, ძისა თარგამოსისა... ხოლო ა ფ ხ ა ზ ე თ ი – ლევანის გამო, რომელი შემდგომად პირველისა ლეონისა, მეორე ლეონ ერისთაობდა აფხაზეთს ქრისტესსა ღ~პე [785 წ. – თ.გ.], ქართულსა ე~. ესე ლეონ, შემდგომად ხოსროვანთ გარდაცვალებისა, გამეფდა და დაიპყრა სრულიად ეგრისი, და ამან უწოდა აფხაზეთი სამეფოსა თვისსა, და მოიღო საერისთოსა თვისისა სახელი ეგრისსა ზედა. არამედ ი მ ე რ ე თ ი – ზაგრატიონთა მიერ, რამეთუ, რაჟამს დაიპყრეს სრულიად აფხაზეთი და ყოველი საქართველო, ამათ უწოდეს ქართლს ამერეთი და აფხაზეთს იმერეთი, ანუ იმერნი და ამერნი, უმეტესად შეერთებისათვის, და აწცა საზოგადოდ უწოდებენ იმერეთსა. ხოლო ესე აფხაზეთი, ანუ იმერეთი განიყოფების ადგილებად...“ (ვახუშტი 1973, გვ. 742).

მომდევნო გვერდზე ვახუშტი აღწერს ეგრის-აფხაზეთ-იმერეთის, ანუ მთელი დასავლეთ საქართველოს საზღვრებს ლიხის ქედიდან შავ ზღვამდე და ჭოროხის აუზიდან კავკასიონამდე (ვახუშტი 1973: 743).

ამ მონაცემთა გათვალისწინებით, სულაც არ ჩანს უტყუარი ფაქტი მაჩაბლების აფხაზობა, ანუ აფსუობა. თუ სიმართლეა მათში გავრცელებული თქმულება დასავლეთიდან ცხინვალთან მდებარე სოფელში მიგრირების შესახებ, ამ საგვარეულოს ძირი შეიძლება მოდიოდეს ან საკუთრივ იმერეთიდან, ან რაჭიდან, ან კიდევ ლეჩხუმიდან, გურიიდან, აჭარიდან, ლაზეთიდან, სამეგრელოდან, თუ სვანეთიდან და არა მაინცდამაინც ახლანდელი აფხაზეთის ტერიტორიიდან.

2. გვარსახელი **ანჩაბაძე** ვახუშტისა და მისი თანამედროვეები-სათვის ცნობილი ყოფილა არა ამ ჟღერადობით, არამედ **ანჩაფიძე** (R რედაქცია: **ანჩაფისძე**) სახით. ფონეტიკური თვალსაზრისით ასახ-სნელია **ხ** და **ძ** ბგერებს შორის **ა** ხმოვნის უქონლობა **ანჩაფიძე** // **ანჩა-ფისძე**-ში: აფხაზური **აჩბა** მთავრდება **ა** ხმოვნით და არ არსებობდა არავითარი დაბრკოლება მის შესანარჩუნებლად ქართულად გადა-ღების შემთხვევაში.

ერთ-ერთ იურიდიულ საბუთში გამოვლინდა მამაკაცის პირ-სახელი **ანჩაფ**: 1662 წელს ვინმე **ანჩაფ ტულურუნაშვილს** (გვარის ვა-რიანტებია: **ტულრინაშვილი** და **ტულრინაშვილი**) ქართლის კათა-ლიკოს დომენტისათვის სოფელ რუისში (ამჟ. ქარელის მუნიცი.) მიუ-ყიდა თავისი მკვიდრი ყმები ღვინია და მისი ძმა გიორგი (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. IV, 2007: 253). ვფიქრობთ, სრულიად უდავოა, რომ **ანჩაფ** პირსახელის ფუძეზე **-ძე** დაბოლოების დარ-თვის შემთხვევაში მივიღებდით **ანჩაფისძე** > **ანჩაფიძე** ვარიანტებს, ესენი კი სწორედ ის ფორმებია, რომლებიც რეალურად დასტურდე-ბა ვახუშტის ცნობაში, ვარიანტები **ანჩაბაძე** და **აჩბა** კი ასევე უდა-ვოდ მათგან უნდა მომდინარეობდნენ - აფხაზურ ენაზე ჯერ მივი-ღებდით მორფოლოგიურად და ფონეტიკურად ადაპტირებულ **აჩბა** სახეობას, რომლისგანაც წარმოიქმნებოდა ხელახლა გაქართულებუ-ლი **ანჩაბაძე** ვარიანტი; შდრ. ქართ. **შარვაშ-ის-ძე** > **შარაშ-ია** > აფხაზ. ***ჩარაჩ-ბა** > ***ჩარჩ-ბა** > **ჩარჩ-ბა**.

3. ცხინვალთან მდებარე სოფლის სახელი **აჩაბეთი** ნაწარმოე-ბია მამაკაცის პირსახელის ფუძეზე **-ეთ** ტოპოფორმანტის დართვით. შდრ. **სიმონ-ეთ-ი**, **გრიგოლ-ეთ-ი**... **-ეთ** სუფიქსის მქონე ოიკონიმები ცხინვალის მიდამოებში საკმაოდ ხშირად გვხვდება: **დამპალ-ეთ-ი**, **კვერნ-ეთ-ი**, **კუსირ-ეთ-ი**, **ტბ-ეთ-ი**... აქ აფხაზური ენის კვალი არასოდეს გამოვლენილა. ოიკონიმს საფუძვლად უღვევს მამაკაცის სახელი ***აჩაფ-ი** > **ანჩაფ-ი**: ვინმე ეპონიმ **აჩაფ**-ის პატივსაცემად ამ ადგილს შეერქმეოდა ***აჩაფ-ეთ-ი**, რომლისგანაც შემდგომში გაჩნდე-ბოდა **აჩაბეთი**, **ზემო აჩაბეთი** და **ქვემო აჩაბეთი**. საყურადღებოა, რომ **აჩაბეთი** ძალიან ძველი ქართული ტოპონიმია და პირველად იხსენიება VII საუკუნის სომხურ ანონიმურ გეოგრაფიაში: ისტორი-კოს ჯონდო გვასალიას ცნობით, **აჩაბეთის** სახელს ატარებდა ხევი,

რომელიც მოიცავდა დიდი ლიახვის შუა და ზემო წელს (გვასალია 1983: 109). სრულიად მისაღებია ის მოსაზრებაც, რომ გვარი **მაჩაბელი** მომდინარეობს **აჩაბეთი** [***აჩაფეთი** – თ. გ.] ტოპონიმისაგან ქართულ გვარსახელთა წარმოების წესების სრული დაცვით (გვასალია 1983: 108): ტოპონიმი ***აჩაფ-ეთ-ი** > **აჩაბ-ეთ-ი** > გვარსახელი **მ-აჩაბ-ელ-ი**, შდრ.: **ეგრ-ი** > **მ-ეგრ-ელ-ი**, **ეგვიბტე** > **მ-ეგვიბტ[ე]-ელი**, ***რუფ-ის-ი (რუ-ის-ი)** > **მ-როფ-ელ-ი**. გვარი **მაჩაბელი** იხსენიება XIII საუკუნის II ნახევრიდან (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. III, 2004: 105-112). არსებობს ასევე **მაჩაბლიშვილი** და **მაჩაბელაშვილი** სახეობებიც.

ამრიგად, ახალი ონომასტიკური მასალის გათვალისწინება ნათელს ჰყენს იმ მოარული ვარაუდის უსაფუძვლობას, რომლის მიხედვითაც მცდარად შუქდება **აჩაბა** < **ანჩაბაძე** გვარსახელთა, ტოპონიმ **აჩაბეთისა** და გვარსახელ **მაჩაბელ**-ის წარმომავლობა და ურთიერთმიმართება. ირკვევა რომ ჯერ არსებობდა პირსახელი ***აჩაფი**, მისგან წარმოიქმნა ოიკონიმი ***აჩაფეთი** > **აჩაბეთი**, ამ ტოპონიმს დაეფუძნა გვარსახელი **მაჩაბელი**, უფრო მოგვიანოდ გაჩენილი პირსახელი **ანჩაფი** კი საფუძვლად დაედო გვარსახელ **ანჩაფისძეს**, ხოლო ამ უკანასკნელმა წარმოშვა აფხაზური გვარსახელი **აჩაბა** და მისგან მომდინარე ქართული გვიანდელი ვარიანტი **ანჩაბაძე**, რომლის ვარიანტი **ამჩაბაძე** უკვე იხსენიება 1484-1510 წლებს შორის შედგენილ ერთ სიგელში (პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. I, 1991: 180).

ლ ე ლ ა გ ი გ ლ ე მ ი ა ნ ი

პეტრე ჭარაია სვანური ლექსიკის შესახებ

ცნობილ ქართველ მეცნიერს, პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს პეტრე ჭარაიას ეკუთვნის საყურადღებო ნაშრომები ენათმეცნიერებაში. ამ მხრივ გამორჩეულია მისი გამოკვლევა „აფხაზური ენის დამოკიდებულების შესახებ ქართველურ ენებთან“. წიგნი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ-ფილოლოგიური

განყოფილების დადგენილებით 1894 წელს უნდა გამოცემულიყო, მაგრამ დაიბეჭდა მხოლოდ 1912 წელს ნ. მარის რედაქტორობითა და შენიშვნებით, რომლებიც წარმოდგენილია წიგნის წინასიტყვაობასა და პ. ჭარაიას გამოკვლევის ტექსტში (შენიშვნები კვადრატულ ფრჩხილებშია წარმოდგენილი).

პ. ჭარაიას ერთ მცირე მოცულობის პარაგრაფს ეწოდება „თავისებურებები, რომლებიც აფხაზურ ენას აახლოებს სვანურთან“.

ავტორი აღნიშნავს სვანური, აფხაზურის მსგავსად, ქართულიდან სიტყვათა სესხებისას -ი დაბოლოებას კვეცავს და მოჰყავს მაგალითები: ქართ. **ჭაკი**, სვან. **ჭაკ**; ქართ. **ფური**, სვან. **ფურ** „ძროხა“; ქართ. **ქორი** „ფრინველი“, სვან. **ქორ** „სახლი“; ქართ. **ადგილი**, მეგრ. **არდგილი** „ადგილი“, სვან. **არგილ**, აფხ. **ადგილ** „ადგილი, მიწა“....

პ. ჭარაიას აზრით, სხვა ქართველურ ენებთან საერთო წარმოშობის სიტყვებში სვანურს შემოუნახავს ძველი ვითარება - უფრო მარტივი ფუძე: სვან. **მუ**, ქართ. **მამა**, მეგრ. **მუმა**; სვან. **თე**, მეგრ. **თოლი**, ქართ. **თუალი**; სვან. **გუი**, აფხ. **ა-გუ**, მეგრ. **გური**, ქართ. **გული**; ქართ. **წყალი**, მეგრ. **წყარი**, სვან. **ლიც**.

ეს თვალსაზრისი, ნიკო მარის სამართლიანი შენიშვნის თანახმად, არ არის მისაღები. ასევე, სვანური **ლიც** „წყალი“ სიტყვის დაკავშირება ქართულ წყალ-თან არ არის ზუსტი.

როდესაც თავის ნაშრომის II თავში პ. ჭარაია ქართველური ენებისა და აფხაზური ლექსიკური ერთეულების დაკავშირებას ცდილობს, ხშირად სათანადო სვანურ სიტყვებსაც წარმოგვიდგენს. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს:

აფხ. **arban** „ვინ“, ქართ. **ვინ**, მეგრ. **მინ**, სვან. **იარ**;

აფხ. **Ab** „მამა“, ქართ. **მამა**, მეგრ. **მუმა**, სვან. **მუ**;

აფხ. **Agu** „გული“, ქართ. **გული**, მეგრ. **გური**, სვან. **გუი**;

აფხ. **Aha** „მსხალი“, ქართ. **სხალი**, მეგ. **სხული**, სვან. **იგხი** და

სხვა.

დიალექტიზმები ილია ჭავჭავაძის პროზაში

ილია ჭავჭავაძე ქართულ მწერლობაში ერთ-ერთი პირველია, ვინც დიალექტიზმებს გამოიყენებს მხატვრულ-სტილისტური ფუნქციით; მწერალს თავისი პრინციპები აქვს შემუშავებული ამ მოვლენასთან დაკავშირებით, რითაც ფაქტობრივ იგი განცალკევებით დგას ქართულ მწერლობაში...

დიალექტიზმების გამოყენების თვალსაზრისით, ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებს სამ ჯგუფად წარმოვადგენთ:

ა) „ოთარანთ ქვრივი“, „სარჩობელაზედ“, „გლახის ნაამბობი“...

ბ) „კაცია -ადამიანი?!“ (აქ შემოვა დრამატული ნაწარმოებები – „გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენები“, „მაჭანკალი“...)

გ) „მგზავრის წერილები“.

მოხსენებაში შევცდებით, ვაჩვენო, რა არის პრინციპულად განსხვავებული ამ ჯგუფებში დიალექტიზმების გამოყენების თვალსაზრისით.

ვცდილობთ, დავინახოთ, თუ რამდენად სერიოზული არის ილია ჭავჭავაძის მიდგომა ხალხური მეტყველებისადმი; როგორ აკეთებს არჩევანს პარალელურ დიალექტურ ფორმებს შორის, რა შემოაქვს მხატვრულ ნაწარმოებში და რა – არა. მაგალითისათვის განვიხილავთ კახურ დიალექტში მრავალგზისობის გამოხატვის შესაძლებლობებსა და ამის ასახვას ილიას შემოქმედებაში.

სამი განსხვავებული შემთხვევაა... სად იყო მწერალი „ზომიერი“ და სად – არა? საერთოდ, რას გულისხმობს „ზომიერება“ დიალექტიზმების გამოყენებაში?.. ვცდილობთ, ვუპასუხოთ ამ კითხვებს...

ილია ჭავჭავაძესთან დაკავშირებით ზოგადი დასკვნა ასეთია: ილია ჭავჭავაძე ყველგან „ზომიერია“, გააჩნია მიზანდასახულობას...

ქ ე თ ე ვ ა ნ დ ა თ უ კ ი შ ვ ი ლ ი

ნაწილაკთა დერივაციული ფუნქციისათვის

როგორც ცნობილია, ქართულ ენაში გამოყოფენ ნაწილაკთა ორ სახეობას: ცალკე მდგომი (ხომ, კი, განა, ნუთუ...) და სიტყვასთან შერწყმული (ც, ვე, ღა, მე...) ნაწილაკები. ჩვენ ამ ორ ტიპს სხვადასხვა ენობრივ ოდენობად განვიხილავთ და ვფიქრობთ, რომ სიტყვასთან შერწყმული ნაწილაკი მეტყველების ნაწილი არ არის, იგი ფლექსიური აფიქსია. ამიტომ მათ ჩვენ აფიქს-ნაწილაკებს ვუწოდებთ. მოხსენებაში ამგვარი ნაწილაკების შესახებ იქნება მსჯელობა.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სპეციალურად განიხილება **ვე**-ნაწილაკიანი რიცხვითი სახელებისა და **ვე, მე, ღა, ღაცა** ნაწილაკდართულ ნაცვალსახელთა ბრუნების თავისებურება. გამოყოფენ ბრუნების სამ სახეობას:

- ნაწილაკშეუზრდელი (შეუხორცებელი): ორ-მა-ვე, რა-ს-მე, რა-ს-ღა...
- ნაწილაკშეზრდილი (შეხორცებული): ორივე-მ, რამე-ს, რაღა-ს...
- ნარევი სახეობა: ვი-ს-მე-ს, რა-ს-მე-ს...

ნარევი სახეობა მიჩნეულია წარმოების თვალსაზრისით არასწორ ვარიანტად, ჩვენ ვიზიარებთ ამ მოსაზრებას. რაც შეეხება **ორმა-ვე** და **ორივემ, რასმე** და **რამეს** და მსგავს ფორმებს, ისინი განსხვავებულიად იწარმოება, კერძოდ:

1. **ორმავე, რასმე** და მსგავს ვარიანტებში ბრუნვის ფორმას დაერთვის **ვე** და **მე** ნაწილაკები: ორ-ი-ვე, ორ-მა-ვე, ორ-ს(ა)-ვე... რა-მე, რა-ს-მე, რ-ის(ა)-მე...
2. **ორივემ, რამეს** და მსგავს შემთხვევებში კი ნაწილაკდართული ფორმა (ორივე, რამე) გამოყენებულია ფუძედ და მას დაერთვის ბრუნვის ნიშნები: ორივე, ორივე-მ, ორივე-ს.. რამე, რამე-მ, რამე-ს და ა.შ. ამ უკანასკნელ ფორმებში ნაწილაკი წარმოდგენილია დერივაციული აფიქსის ფუნქციით, შესაბამისად, იგი ფუძის ნაწილია.

ცნობილია, რომ ქართულ ენაში ფლექსიური სუფიქსი (ბრუნვის ნიშანი ან თანდებული) შეიძლება შეგვხვდეს დერივაციული

ფუნქციით და აწარმოოს ახალი ფუძე: გულ-ად -> გულად-ი, კითხვით -> კითხვით-ი, მის-ებრ -> მისებრ-ი და ა.შ.

ჩვენი აზრით, ასეთივე უნარი აქვს ნაწილაკებსაც. ისინი ფლექსიური აფიქსებია, მაგრამ შეიძლება მოგვევლინოს ფუძის მაწარმოებლის როლში, მაგალითად: „ორ-ი-ვე“ არის სახელობითი ბრუნვის ფორმა, რომელსაც **ვე** ნაწილაკი დაერთვის; ეს სიტყვაფორმა შეიძლება ფუძედ იყოს გამოყენებული და ახალი პარადიგმა შექმნას: ორივე-მ ორივე-ს, ორივე-ს(ი), ორივე-თი...

როგორც თ. უთურგაიძე აღნიშნავს, „მხოლოდითი რიცხვის ფორმებში ბრუნვის ნიშნის წინ ყველაფერი (**რა წარმომავლობისაც არ უნდა იყოს იგი**) სახელის ფუძეს განეკუთვნება“ (უთურგაიძე, ქართული ენის სახელის მორფოლოგიური ანალიზი, თბილისი, 1986, გვ. 130).

თუ ნაწილაკი დაერთვის ბრუნვის ფორმას, ის ჩვეულებრივი ფლექსიური აფიქსია, ხოლო თუ ნაწილაკდართული ფორმა იქცევა ფუძედ და ქმნის ახალ პარადიგმას, მაშინ ნაწილაკი (ბრუნვის ნიშანთან ერთად) შედის ფუძის შემადგენლობაში.

ფუძე – ორ

სახ.	ორ-ი-ვე
მოთხ.	ორ-მა-ვე
მიც.	ორ-ს(ა)-ვე
ნათ.	ორ-ის(ა)-ვე
მოქ.	ორ-ით-ვე
ვით.	ორ-ად-ვე

ფუძე – ორივე

ორივე
ორივე-მ
ორივე-ს
ორივე-სი
ორივე-თი
ორივე-დ

შდრ.:

ფუძე – გულ

სახ.	გულ-ი
მოთხ.	გულ-მა
მიც.	გულ-ს(ა)
ნათ.	გულ-ის(ა)
მოქ.	გულ-ით
ვით.	გულ-ად
წოდ.	გულ-ო

ფუძე – გულად

გულად-ი
გულად-მა
გულად-ს
გულად-ის
გულად-ით
გულად-ად
გულად-ო

ჩვენი აზრით, ტერმინები „ფუძეს შეზრდილი“ და „ფუძეს შეხორცებული“ ვერ ასახავს პროცესის არსს. ასევე შეგვეძლო გვეთქვა, რომ **გულად**-ში „ად“ ანდა **კითხვით**-ში „ით“ არის ფუძესთან შეზრდილი (ან შეხორცებული) ბრუნვის ნიშანი. არადა აქ ჩვენ ვსაუბრობთ ბრუნვის ნიშნის გამოყენებაზე სიტყვაწარმოებითი ფუნქციით. შესაბამისად, ზემოთ განხილულ ფორმებშიც (ორივე-მ, ორივე-ს...) გვაქვს არა ნაწილაკის შეხორცება ფუძესთან, არამედ მისი გამოყენება **დერივაციული** ფუნქციით.

როგორც ცნობილია, ორთოგრაფიულ ლექსიკონებში პარალელურ ფორმებად არის წარმოდგენილი შემდეგი ერთეულები: ორსავე // ორივეს, ორივედ // ორადვე და ა.შ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ერთი სიტყვის პარალელური ვარიანტები კი არ არის, არამედ სხვადასხვა პარადიგმის წევრებია, რომლებსაც სხვადასხვა ფუძე აქვს: ორივეს (ფუძე – ორივე), ორსავე (ფუძე – ორ).

ცალკე უნდა განვიხილოთ ნაცვალსახელი **იგივე** – ეს არის **იგი** ნაცვალსახელის ნაწილაკდართული ფორმა, რომელიც ფუძედ გამოიყენება და ახალ პარადიგმას ქმნის: იგივე, იგივე-მ, იგივე-ს...

იგივე ნაცვალსახელს ფუძემონაცვლედ მიიჩნევენ. სახელობითის გარდა ყველა სხვა ბრუნვაში მას ენაცვლება ფუძე **იმავე**: იმავე-მ, იმავე-ს, იმავე-ს(ი) და ა. შ.

ჩვენი აზრით, ამ ნაცვალსახელის ბრუნებისას ფუძე არ უნდა შეიცვალოს. ფუძემონაცვლეა **იგი** ნაცვალსახელი, რომელსაც შეიძლება დაერთოს **ვე** ნაწილაკი, ხოლო როდესაც **იგივე** ახალი ფუძის ფუნქციით გამოიყენება, მისი ცვლილება ბრუნვების მიხედვით გაუმართლებელია: გამოდის, რომ სახელობითში სხვა დერივაციული ფუძეა გამოყენებული, დანარჩენ ბრუნვებში კი – სხვა. ვფიქრობთ, ყველა ბრუნვაში ერთი და იგივე დერივაციული ფუძე (**იგივე**) უნდა იყოს გამოყენებული:

ფუძე – იგი

სახ. იგი-ვე
 მოთხ. მან-ვე
 მიც. მა-ს-ვე
 ნათ. მ-ის-ვე
 მოქ. მ-ით-ვე
 ვით. ----

ფუძე – იგივე

იგივე
 იგივე-მ
 იგივე-ს
 იგივე-სი
 იგივე-თი
 იგივე-დ

ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელ დანართთა მართლწერისათვის

ქართულში დანართად დასტურდება ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი შემდეგი ტიპის სახელები: **მამა-შვილი (მამა-შვილი დიუმები...), ცოლ-ქმარი (ცოლ-ქმარი მაჩაბლები...), და-ძმა (და-ძმა ბაგრატიონები...); ძმები (ძმები გრიმები...), დები (დები ჭავჭავაძეები...)** და მისთ. მათთან დაკავშირებული საზღვრული წევრი შეიძლება იყოს ერთ- ან რამდენიმეკომპონენტისანი: **მამა-შვილი გამსახურდიები, მამა-შვილი კონსტანტინე და ზვიადი, მამა-შვილი კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიები...; დები ჭავჭავაძეები, დები ნინო და ეკატერინე, დები ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეები...**

კომპოზიტი დანართი (**მამა-შვილი, ცოლ-ქმარი, და-ძმა...**) თავის საზღვრულს (საკუთარ სახელს ან სახელებს) მხოლოდითი რიცხვის ფორმით შეეწყობა (**ცოლ-ქმარი** მაჩაბლები, **და-ძმა** რუსუდანი და ვახტანგი, **მამა-შვილი** გრიგოლ და თამაზ მიქელაძეები...), ხოლო **ძმები** ტიპის მსაზღვრელი მრავლობითი რიცხვის ფორმით ეთანხმება გვარსაც (მრავლობითში დასმულს: **ძმები გრიმები, დები ჭავჭავაძეები...**) და რამდენიმე საკუთარი სახელითა თუ სახელებითა და გვარით გადმოცემულ საზღვრულებსაც (**დები ნინო და ეკატერინე, დები ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეები...**).

რაც შეეხება დასახელებული ტიპის დანართთა (**მამა-შვილი, და-ძმა...; ძმები, დები...**) საზღვრულთან (საკუთარ სახელებთან) ბრუნვაში შეთანხმების საკითხს, ამ შემთხვევაში ერთმანეთისაგან იმიჯნება ფუძეთანხმოვნისანი და ფუძეხმოვნისანი მსაზღვრელები. ეს უკანასკნელი (ფუძეხმოვნისანი დანართი) ისე შეეწყობა საზღვრულს (საკუთარ სახელებს) ბრუნვაში, როგორც შესაბამისი ფუძის მქონე ზედსართავი სახელი (სახ. **და-ძმა ბაგრატიონები**, მოთხრ. **და-ძმა ბაგრატიონებმა**, მიც. **და-ძმა ბაგრატიონებს**, ნათ. **და-ძმა ბაგრატიონების**, მოქმ. **და-ძმა ბაგრატიონებით**, ვით. **და-ძმა ბაგრატიონებად**, წოდ. **და-ძმა ბაგრატიონებო...**), ფუძეთანხმოვნისანი დანართი კი ორი პარადიგმით წარმოდგება (თანამედროვე ქართულის მონაცემთა მიხედვით):

➤ საზღვრულს ისე შეეწყობა ბრუნვაში, როგორც პროფესია-სა-
ქმიანობისა თუ წოდება-თანამდებობის აღმნიშვნელი ფუძეთან-
ხმოვნინანი სახელი (სახ. **ძმები გრიმები**, მოთხრ. **ძმებმა გრიმებმა**,
მიც. **ძმებ გრიმებს**, ნათ. **ძმებ გრიმების**, მოქმ. **ძმებ გრიმებით**, ვით.
ძმებ გრიმებად, წოდ. **ძმებო გრიმებო**; სახ. **მამა-შვილი გრიგოლ** და
თამაზ მიქელაძეები, მოთხრ. **მამა-შვილმა გრიგოლ** და **თამაზ მიქელა-**
ძეებმა, მიც. **მამა-შვილ გრიგოლ** და **თამაზ მიქელაძეებს**, ნათ. **მამა-**
შვილ გრიგოლ და **თამაზ მიქელაძეების**, მოქმ. **მამა-შვილ გრიგოლ** და
თამაზ მიქელაძებით, ვით. **მამა-შვილ გრიგოლ** და **თამაზ მიქელაძეე-**
ბად, წოდ. **მამა-შვილო გრიგოლ** და **თამაზ მიქელაძეებო...**);

➤ მისდევს ფუძეთანხმოვნინანი მსაზღვრელი ზედსართავი სახე-
ლის ბრუნებას (სახ. **ძმები გრიმები**, მოთხრ. **ძმებმა გრიმებმა**, მიც.
ძმებ გრიმებს, ნათ. **ძმები გრიმების**, მოქმ. **ძმები გრიმებით**, ვით. **ძმებ**
გრიმებად, წოდ. **ძმებო გრიმებო**; სახ. **მამა-შვილი გრიგოლ** და **თამაზ**
მიქელაძეები, მოთხრ. **მამა-შვილმა გრიგოლ** და **თამაზ მიქელაძეებმა**,
მიც. **მამა-შვილ გრიგოლ** და **თამაზ მიქელაძეებს**, ნათ. **მამა-შვილი**
გრიგოლ და **თამაზ მიქელაძეების**, მოქმ. **მამა-შვილი გრიგოლ** და **თა-**
მაზ მიქელაძებით, ვით. **მამა-შვილ გრიგოლ** და **თამაზ მიქელაძეე-**
ბად, წოდ. **მამა-შვილო გრიგოლ** და **თამაზ მიქელაძეებო...**).

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება რეკომენდაციები დასახე-
ლებული ტიპის დანართთა მართლწერასთან დაკავშირებით.

მ ა კ ა თ ე თ რ ა ძ ე

შირინბეი ჰაჯიელის „ინგილოები“ – ინგილოთა ეთნოგენეზის საკითხები აზერბაიჯანულენოვან სამეცნიერო დისკურსში¹

ინგილოთა ისტორიისა და ინგილოური დიალექტის შესახებ
მრავალი გამოკვლევა არსებობს, მათ შორის, სამეცნიერო ლიტერა-
ტურაში, ძირითადად, ცნობილია ქართულენოვანი მონოგრაფიული
გამოკვლევები.

თუმცა, დღესდღეობით მოიპოვება ისეთი კვლევები თუ აღწე-
რები (სამეცნიერო და არა მხოლოდ), რომლებიც ინგილოთა ქართვე-

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი HE-21-873].

ლობას ექვევებ აყენებს, შესაბამისად, მათი მეტყველებაც განიხილება არა როგორც ქართული ენის დიალექტი, არამედ ცალკე ენობრივი სახესხვაობა. ამგვარი კვლევები ქვეყნდება, როგორც აზერბაიჯანულად, ასევე – სხვა ენებზეც. მაგალითად, SIL-ის ერთ-ერთ კვლევაში, რომელშიც აზერბაიჯანის სოციოლინგვისტური სიტუაცია აღწერილი, ინგილოური დამოუკიდებელი ენად არის დასახელებული (2005); აზერბაიჯანის მთავრობის ევროპის საბჭოსათვის მომზადებულ ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენციის 2017 წლის მე-4 პერიოდის ანგარიშში გამიჯნულია ქართული და ინგილოური თემი.

ინგილოური დიალექტისა და აზერბაიჯანის ქართველების ეთნოლინგვისტური კვლევისათვის მიზანშეწონილია აზერბაიჯანულენოვანი სამეცნიერო დისკურსის შესწავლაც.

აზერბაიჯანის სამეცნიერო ლიტერატურაში საინგილო განხილულია, როგორც ელისუს სასულთნოს ნაწილი: გაანალიზებულია მთლიანად ტერიტორიის ისტორია, ეთნოგრაფია თუ დემოგრაფიული ცვლილებები.

მოხსენებაში განვიხილავთ აზერბაიჯანელი ისტორიკოსის, შირინბეი ჰაჯიელის მონოგრაფიას „ჩრდილო-დასავლეთი აზერბაიჯანი: ინგილოები“ (2007 წ.).

მონოგრაფიის პირველი თავი სრულად ეხება ინგილოთა წარმომავლობას. ავტორი კარგად იცნობს ქართულ და სომხურ საისტორიო წყაროებს და მათზე დაყრდნობით ავითარებს აზრს, რომ ინგილოები ის ერთ-ერთი ეთნიკური ჯგუფია, რომელიც მონაწილეობას იღებდა აზერბაიჯანელი ერის ფორმაციაში. ისინი არიან კავკასიელი ალბანელების შთამომავლები და მათ უკავშირებს ისტორიულ ეთნიკურ ტერმინს „გელს“. აქვე გვთავაზობს „ინგილოს“ ავტორისეულ ეტიმოლოგიას: ინთავსართი დაკავშირებულია ტერიტორიულ ტერმინთან „ენისეი//ენისელი“, ხოლო სიტყვის მეორე ნაწილი „გელოი“ – ეთნონიმ „გელთან“.

მომდევნო თავებში წარმოდგენილია ინგილოთა ისტორია კავკასიის ალბანეთის პერიოდიდან მე-13 საუკუნემდე.

ავტორი ასკვნის, რომ მასალის ანალიზმა აჩვენა, უკანასკნელი 150 წლის განმავლობაში გაბატონებული აზრი ინგილოთა წინაპრებსა და წარმომავლობაზე არის არასწორი, არამეცნიერული ინტერპრეტაციების შედეგი და სხვადასხვაენოვანი ისტორიული წყაროების შესწავლა ინგილოთა „ნამდვილ“ ისტორიას გვიჩვენებს.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება მონოგრაფიის კრიტიკული განხილვა.

კიდევ ერთხელ „გამყრელიძის წესის“ შესახებ

In memoriam Th. V. Gamkrelidze (1929-2021)

ქართველურ ენათა შიშინა სიბილანტებს შორის შესატყვისობათა სამი რიგი ვლინდება:

I. ქართული შიშინა : ზანური შიშინა + ველარული ხშული : სვანური შიშინა + ველარული ხშული;

II. ქართული შიშინა : ზანური სისინა + ველარული ხშული : სვანური სისინა + ველარული ხშული;

III. ქართული შიშინა : ზანური შიშინა : სვანური შიშინა.

შესატყვისობათა I ფორმულა ზანურსა და სვანურში ამოსავალ ველარიზებულ შიშინათა სათანადო შიშინა და ველარულ ხშულ ბგერებად სპონტანური სეგმენტაციის შედეგებს ასახავს, ხოლო მეორე და მესამე ფორმულები კომბინატორული პროცესებით აიხსნება, სახელდობრ:

(II) ამოსავალი შიშინა + ველარული ხშული ტიპის კომპლექსები ზანურსა და სვანურში სისინა + ველარული ხშული ტიპის კომპლექსებადაა ტრანსფორმირებული უ და ვ ფონემების წინ და ზანურში ასევე სპორადულად /რ/ ფონემის შემდეგ (გამყრელიძე 1959: 26-27, 73-78).

ხოლო –

(III) შესატყვისობა ქართული შიშინა : ზანური შიშინა : სვანური შიშინა ვლინდება მაშინ, “როდესაც: 1) საქმე გვაქვს ჰარმონიულ კომპლექსებთან, სადაც პირველ წევრს წარმოადგენს შიშინა სიბილანტი, ხოლო მეორეს – ველარული თანხმოვანი (შდრ. ქართ. ჩხიკვი, მეგრ.-ჭან. ჩხვიკვი); 2) სიტყვა შეიცავს ველარულ თანხმოვანს (შდრ. ქართ. დეჭ-ვ-ა, მეგრ. დაჭ-უ-ა და მისთ.)“ (მაჭავარიანი 1965: 39).

(II) მუხლში ჩამოყალიბებულ პირობებს სპეციალურ ლიტერატურაში გამყრელიძის წესი ეწოდება, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ აქ, არსებითად, ორ განსხვავებულ, ერთმანეთთან კავშირის არმქონე პროცესთან გვაქვს საქმე, ალბათ, მართებული იქნება,

არა წესზე, არამედ (შესაბამისად, პირველ და მეორე) წესებზე ვისა-
უბროთ¹. რაც შეეხება (III) მუხლში მოცემულ პირობას, მას შეიძლება
მაჭავარიანის წესი ეწოდოს.

მიჩნეულია, რომ ამ უკანასკნელის ფონეტიკური არსი ზანურსა
და სვანურში ველარულ თანხმოვანთა გავლენით ველარების დისი-
მილაციურ განუვითარებლობაში მდგომარეობს (მაჭავარიანი 1965:
60-61; ფენრიხი 1984: 177-178). დისიმილაციურ პროცესებს აღწერს
გამყრელიძის წესებიც: მომდევნო ბაგისმიერი უ-ს გავლენით შიში-
ნათა შესატყვის სისინებში გადასვლა შედეგი უნდა იყოს “შიშინათა-
თვის დამახასიათებელი ლაბიალური არტიკულაციის მოშლისა” და,
ამდენად, შქუ > სქუ, ჯგუ > ძგუ... გადასვლები “შეიძლება განხი-
ლულ იქნეს როგორც დისიმილაციური დელაბიალიზაცია²; დისი-
მილაციურ გასისინებასთან გვაქვს საქმე ზანურში წინამავალი (ში-

¹ ზოგ ავტორთან (მაგ., კლიმოვი 1964, 1998, ფენრიხი, სარჯველაძე 2000...) ეს
ორი პირობა აშკარად გამოიჯნულია და “გამყრელიძის წესად” სისტემებში მხოლოდ
პირველი მოიხსენიება (როგორც ჩანს – მეორის ძალზე შეზღუდული სამოქმედო არის
გამო). ორივე პირობა ერთ წესადაა წარმოდგენილი, მაგ., კ. ვ. შმიდტთან (1962: 64) და
ასევე ი. ტესტელეცთან მისი სტატიის “სიბილანტები თუ კომპლექსები პრაქტო-
ლოგიური?” მე-6 ნაწილში, რომელსაც ასე ჰქვია კიდევ – “Правило Гамкредидзе”:
“Группы škw, žgw и rčk в занском и сванском дают свистящие рефлексы: skw, zgw, rck”
(Тестелец 1995: 17).

² ამავე პოზიციაში ქართველურ ჩ, შ... ტიპის (ანუ თაღოვან პოსტ-ალვეო-
ლარულ) ბგერათა გასისინების მაგალითები სხვა ენებიდან თითქოს არ მოგვეპოვება.
მაგრამ დადგენილია, რომ უ-ს სონორიცა და უკანა რივის ხმოვნებიც ძლიერ გამაბაგის-
მიერებელ (გამალაბიალიზებელ) გავლენას ახდენენ წინამავალ ბგერებზე, რაც არტიკუ-
ლაციურად ბაგეების მომრგვალებითა და წინ წამოწევით, ხოლო აკუსტიკურად
მაღალი სიხშირეების დასუსტებითა და სპექტრის დადაბლებით გამოიხატება (Mann
& Repp 1980, ლეჟავა 1983, 2017). დამატებითი ველარული არტიკულაცია კი – მაგ.,
შუღ ბგერათმომდევრობაში სვანურში – კიდევ უფრო აძლიერებს ლაბიალიზაციის
ეფექტს (ლეჟავა: იქვე). თუ გავითვალისწინებთ, რომ ამგვარად ლაბიალიზებული
სისინა ფონემები არტიკულაციურადაც და აკუსტიკურადაც შიშინებს უახლოვდება,
ვფიქრობთ, ასეთ გარემოცვაში არც სისინათა გაშიშინება და არც შიშინათა გასისინება
პრინციპულად შეუძლებელი არ უნდა იყოს. სწორედ სვანურის სიბილანტებში
კონარტიკულაციური ლაბიალიზაციით გამოწვეულ სპექტრულ ცვილებათა შესწავლის
შედეგად აღნიშნავს ივ. ლეჟავაც, რომ “ეს თავისებურებები კარგად ეთანადება თამაზ
გამყრელიძის მიერ სვანურში დადგენილ შგუ > სქუ გადასვლის ახსნას დისიმი-
ლაციური დელაბიალიზაციით” (2017: 188). ჩვენ მხოლოდ იმას დავსმენდით, რომ ეს
დასკვნა, ცხადია, თანაბრად უნდა გავრცელდეს სვანურის სხვა და ასევე ზანურის
შიშინა ფონემებზეც.

შინათა დარად ნუნისმიერი) რ-ს გავლენით განხორციელებულ ჩქ > ცქ... ცვლილების შემთხვევაშიც (გამყრელიძე 1959: 75-78)¹.

გამყრელიძის მიხედვით, ზანურსა და სვანურში შიშინა აფრი-კატების რიგში მომდევნო ზაგისმიერი უ-ს გავლენით “გასისინების ტენდენცია არ არის რეგულარულად გატარებული“ და “/ჩქ/ და /ჭქ/ კომპლექსები ამგვარ გასისინებას არ განიცდიან”², ხოლო წინამავალი რ-ს გავლენით ზანურში გასისინებას არა ყველა შიშინა + ველარული ხშული ტიპის ჯგუფი, არამედ მხოლოდ ჩქ კომპლექსი ექვემდებარება (იქვე).

მაგრამ მოგვიანებით ზანურში *ჩქუ- > ცქვ- გადასვლის ერთი უდავო შემთხვევა გამოვლინდა – ქართ. ერუ-ა-ი, ერუ-ე-ი, ერო-ი : ზან. [მეგრ.] სვან. აცქუ “ერო”, (ლაზ.) ანცქო, ანცქვი “ხელსაწყო კოვ-ზისებური”, ანწკო, ამცქვა, ამსქვა “კოვზის ფორმის მჭრელი იარაღი”³ – რამაც ცხადყო, რომ აღნიშნულ პოზიციაში გასისინებას, შქ და ჯგ კომპლექსების გარდა, ჩქ თანხმოვანთჯგუფიც განიცდიდა⁴.

¹ რაკიდა რ-, ისევე როგორც შიშინა სიბილანტები, ნუნისმიერი ზეგრაა, აღნიშნული ცვლილება დისიმილაციურ დეალვეოლარიზაციად, ანაც დისიმილაციურ დენტალიზაციად უნდა შეფასდეს. სწორედ ამ უკანასკნელი ტერმინითაა სახელდებული ქართველურ ჩ, შ ტიპის ზეგრაათა გადასვლა, შესაბამისად, ც, ს ტიპის ზეგრებში რ-ს წინ რამდენსამე ენაში მ. ი. კუმმელის მიერ (Kümmel 2007: 202-204).

² მკვლევარი დასძენდა, რომ “მომდევნო უ-ს გავლენით /ჩქ/ კომპლექსის გასისინების საილუსტრაციოდ შეიძლება ქართ. არჩვ-ი : მეგრ. ერცქემ-ი ... ფორმების მოყვანა. მაგრამ ამ მაგალითში /ჩქ/ > /ცქ/ შესაძლებელია წინამავალი /რ/-ს გავლენას მიეწეროს, ისე როგორც ეს მეგრ. ხირცქ-..., ჭან. ხროცქ-/ხროსქ... ფორმებშია სავარაუდებელი, რომლებიც კანონზომიერი შესატყვისი ჩანს ქართ. ხლეჩ-/ხლიჩ- ... ფორმის... ვარიანტებისა” (იქვე: 77).

³ მხოლოდ ქართულ და სვანურ ფორმათა შეპირისპირების საფუძველზე *ჩქუ- არქტიპს ადადგენენ როგორც ფენრიხი და სარჯველაძე (2000, 192), ასევე გ. კლიმოვი (1998, 48). მაგრამ კლიმოვის აზრით, “სვანური აცქუ-ის ფონეტიკური ფორმა საშუალებას იძლევა ის ძველ ზანურ [მეგრულ] ნასესხობად იქნას მიჩნეული” (იქვე: 1998, 48). ჩვენ მიერ ლაზურში გამოვლენილი ლექსიკური ერთეულები, რომელთა ფორმალური მსგავსებაც სვანურ აცქუ-ისთან ამკარაა, ვფიქრობთ, ადასტურებენ რუსი მკვლევრის ამ ვარაუდს – აცქუ სვანურში მეგრულიდან უნდა იყოს შეთვისებული (იხ. ჩვენი “დამატებანი... - VI”, ეტიმოლოგიური მიებანი XVI, 2019).

⁴ ბ. გიგინეიშვილის მიერ *ჭკუ- > წკვ- გადასვლის საილუსტრაციოდ წარმოდგენილი დაკავშირება – ქართული ჯაჭვ-ი : ქართ. [ზან. (მეგრ.)] ძეწკვი-ი (გიგინეი-შვილი 1965; კარტოზია 1984: 131-132; ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 725) პრობლემურია (*ჭკუ- > წკვ- გადასვლის რეალურობა მტკიცდება იმგვარ წანამძღვარზე დაყრდნობით – “ძეწკვი ქართულში ზანიზმია” – რომელიც თავად საჭიროებს დამტკიცებას!). ამასთან, არსებობს საპირისპირო, და ასევე საეჭვო, მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც შეპირისპირებულ სიტყვათაგან ქართული სწორედ ძეწკვია, ხოლო “ჯაჭვი – მისი კანონზომიერი თუბალ-კაინური [ე. ი. ზანური – ლ. კ.] ორეული” (მარი 1912/1938: 23; კლიმოვი 1964: 237; კლიმოვი 1998: 285).

ქვემოთ წარმოდგენილ შეპირისპირებზე დაყრდნობით კი მოხერხდა იმის ჩვენებაც, რომ ზანურში ამ ტიპის კომპლექსებში წინამავალი რ-ს გავლენით სპორადულად არა მარტო ჩ, არამედ სხვა შიშინა ზგერებიც შეიძლება გასისინებულიყო:

ქართ. ა-შ-ინ-ებ-ს : ზან. (მეგრ.) რსქ-ინ-ი, რცქ-ინ-ი “მუქარა, ქადილი”, ო-რსქ-ინ-ან-ს “ექადება, ემუქრება”¹; ქართ. ღრჯ-ნ-ა, ღირჯ-ნ-ა, ღიჯ-ნ-ა : ზან. (მეგრ.) ღირძგ-ონ-უ-ა, ღიდგ-ონ-უ-ა “ღირძგნა, ღიჯნა; ზლაგვი დანით რისამე ჭრა”, (ლაზ.) ო-ღიდგ-ოლ-უ „უხეიროდ ჭრა“; ქართ. ღრიჭ-ინ-ი “მშრალ ღერძზე თვლის ტრიალის დროს გამოცემული ხმიანობა, ჭრიალი”, ღრჭ-ენ-ა, (ხევს.) ღრიჭ-ინ-ებ-ს „ჭრიჭინებს, ღრჭიალებს“ : ზან. (მეგრ.) ღირწკ-ინ-ი “ჭრიალი, ღრიჭინი” : სვან. ღგრჭ-ნ-ი “ღრჭიალებს, ჭრიჭინებს”, (ზხ. – ბ. ნიჟარაძე) ღი-ღგრჭ-ნ-ე “ღრაჭუნი”; ქართ. ღულარჭ-ნ-ა, ღულერჭ-ი : ზან. (მეგრ.) ღულორწკ-უ-ა “გრეხა; მოხრა, ღვარჭნა” და სხვ².

ამრიგად, მაჭავარიანისა და გამყრელიძის წესებით ცალსახად მტკიცდება, რომ ქართველურ ენათა შიშინა სიბილანტებს შორის გამოვლენილ შესატყვისობათა სამი რიგი ერთმანეთის მიმართ დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაშია და, შესაბამისად, მათ საფუძველზე სქ ერთიანობის ხანისათვის სიბილანტთა მხოლოდ ერთი წყება უნდა აღდგეს.

¹ გ. კლიმოვი ამ შეპირისპირების საფუძველზე 1964-ში *შტინ- არქტიკს აღადგენდა და აღნიშნავდა, რომ “მეგრ. ფორმები... კანონზომიერად შეესატყვისება ქართულს იმ დაშვებით, რომ ძირში დაკარგულია ამოსავალი *ტ (რაც განაპირობებდა გამყრელიძის წესის მოქმედებას)” (217). მის 1998 წლის ლექსიკონში წარმოდგენილია *შ(ტ)ინ- არქტიკი, ხოლო სტატიაში ვკითხულობთ: “მეგრ. ფორმა... კანონზომიერად შეესატყვისება ქართულს. საწყისი არაორგანული რ-ს ადრეული განვითარება ასევე წარმოადგენს წინაპირობას გამყრელიძის კანონის მოქმედებისათვის”(252). ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში ჩვენ არ გვაქვს არავითარი საფუძველში არქტიკში *ტ-ს პოსტულირებისათვის და, შესაბამისად, ზან. (მეგრ.) ფორმაში შ > ს გადასვლაზე პასუხისმგებლობა მთლიანად წინამავალ რ-ს უნდა დაეკისროს.

² ზანურში ამავე პოზიციაში ჯ-ს გასისინების მაგალითად განიხილება ასევე ქართ. ღორჯო : ზან. (მეგრ.) ღონძგო, (ლაზ.) ღორძგო, ღოდგო. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ო ხმოვანს ისევე შეუძლია წინამავალ ზგერებზე წინმსწრები გავლენის მოხდენა, როგორც ტ-სა და ვ-ს (ლექსავა 1983, 2017; იხ. ასევე Mann, Repp 1980, და აქვე: შენიშვნა 2) და, აქედან გამომდინარე, *ჯგ > გ გადასვლა ამ შემთხვევაში შესაძლოა სწორედ მომდევნო ო-ს გავლენას მიეწეროს.

მაგრამ ის გარემოება, რომ თ. გამყრელიძის მიერ მითითებულ პოზიციებში შქ ტიპის კომპლექსებში შიშინათა გასისინებას რეგულარული ხასიათი არა აქვს¹, ზოგიერთი მკვლევრის დაეჭვებას იწვევს. მართალია, გამონაკლისებიდან ზოგიერთი ომონიმიის თავიდან აცილების აუცილებლობითა ან ფონეტიკური ანალოგიის მოქმედებით იხსნება (გამყრელიძე 1959: 70-73), მაგრამ ზოგ შემთხვევაში წესების დარღვევის მიზეზი არ ჩანს, შდრ., მაგ.: ქართ. მაჩვი-ი : ზან. (მეგრ.) მუნჩქვი-ი, (ლაზ.) მუნჩქვი-ი/მუნჩქვი-ი; ქართ. მშუილ-დი : ზან. (მეგრ.) შქვილ-ი, შქვილ-დი; ქართ. ვ-ე-რჩი-ი : ზან. (მეგრ.) რჩვი-ილ-ა; ქართ. ფეშუება, ფუეშუება “მიწყდომა, ცეცებით სვლა” : სვან. ლი-ფშშგუ-ე, ლი-ფშშგუ-ე “მოფერება (ხელით), მოსმა (ხელისა)”; ქართ. ნა-ფშვენ-ი, ფშვ-ნ-ა : ზან. (ლაზ.) ო-ფუშქ-ონ-უ : სვან. (ბქ., ლშხ.) ფურშტინ, (ლნტ.) ფურშკტინ (მაგრამ იქვე ასევე: (ბზ.) ფურსგტინ, (ბქ.) ფურსგტინ!) და სხვ.

გ. კარტოზიამ სცადა გამონაკლისები გამყრელიძის პირველი წესიდან აეხსნა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ, “როგორც ჩანს, შქვ/შგუ კომპლექსზე [მომდევნო] პალატალური ი ხმოვნის დართვა იწვევდა ლაბიალურობის ხარისხის შემცირებას, რაც აფერხებდა დისიმილაციური დელაბიალიზაციის პროცესს” (კარტოზია 1984: 142). მაგრამ, ჯერ ერთი, შიშინათა გასისინება შეფერხებულია მაშინაც, როცა აღნიშნულ კომპლექსებს ი არ მოსდევს (ქართ. ფეშუება, ფუეშუება : სვან. ლი-ფშშგუ-ე, ლი-ფშშგუ-ე), ხოლო, მეორეცა და, განხორციელებულია მაშინაც, როცა ი წარმოდგენილია (ქართ. შვინდ-ი/შინდ-ი : ლაზ. (დიდი ლაზური ნენაფუნა) სქინდ-ი, სვინდ-ი “შინდი”).

ყოველივე ეს, ი. ტესტელეცის მიხედვით (1995: 18), ნიშნავს იმას, რომ, გამყრელიძის წესებით გათვალისწინებული პირობები, როგორც ჩანს, არ არის საკმარისი. მაგრამ, მისი აზრით, ისინი, იმავედროულად, არც აუცილებელია, რაც თითქოს შემდეგი მაგალითებით დასტურდება: 1) *ეჩო > ქართ. ეჩო : სვან. აცქუ, 2) *მჩორ- > ქართ. მჩორე : ზან. (მეგრ.) ცქირა, ცქერა, 3) *შენ- > ქართ. შენ-ი : ზან. (მეგრ.) სქან-ი/სკან-ი, (ლაზ.) სქან-ი/ცქან-ი, 4) *შიბ- > ქართ. შიბ-ი : ზან. (მეგრ.) სქიბ-უ, (ლაზ.) მსქიბ-უ, 5) *შინ- > ქართ. შინ-ებ-ა : ზან.

¹ დაკავშირებანი, სადაც ამ წესის განსახორციელებლად აუცილებელი პირობები დაცულია, მაგრამ ზანურსა და სვანურში მაინც შიშინა სიბილანტებია წარმოდგენილი, თავმოყრილია ტესტელეცთან (1995: 18).

(მეგრ.) რსქინ-ი, 6) *ჯილ- “კერვა” > ქართ. ჯილვა : ზან. (მეგრ.) ნძგილ-ან-ს, 7) *ჯილ- “ჯილე” > ქართ. ჯილ-ე : ზან. (მეგრ.) ონძგილე.

ჩვენი აზრით, ეს მასალა ვერ გამოდგება აღნიშნული პირობების აუცილებლობაში ეჭვის შესატანად:

1) ჯერ ერთი, სქ. დონეზე აღდება არა *ეჩო-, როგორც ეს ტესტელეცს აქვს მოცემული, არამედ *ეჩუ- (იხ. ზევით: შენიშვნა 5), ხოლო მეორეც – და ეს მთავარია! – ო ხმოვანს ისევე შეუძლია წინამავალ ბგერებზე “გამასისინებელი” გავლენის მოხდენა, როგორც უ ხმოვანსა და უ და ვ ლაბიალებს (იხ. ზევით: შენიშვნები 2 და 8) და, ამდენად, ეს მაგალითი გამყრელიძის პირველი წესის დასაზუსტებლად უფრო გამოდგება, ვიდრე მის უარსაყოფად;

2) არსებითად, აქაც შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ზანურში ამოსავალ ჩქ ბგერათკომპლექსში ჩ > ც გადასვლა სწორედ ო ხმოვნის წინმსწრები დისიმილაციური გავლენით უნდა განხორციელებულიყო, მაგრამ ჩვენ საერთოდაც ეჭვი გვეპარება ამ დაკავშირების სისწორეში. საქმე ისაა, რომ დამოწმებულ მეგრულ ფორმათა მნიშვნელობაა “თხელი განავალი (განსაკუთრებით ნაწლავში რომ არის); გადამუშავებული შიგთავსი ნაწლავისა; ლორწო, ცინგლი”, აქედან ცქირან-ს “თხლად ასხამს, აფადართებს”, და ამ თვალსაზრისით ისინი უფრო ახლოსაა სვანურ ცქერ-თან (“საქონლის ფაშვში მოთავსებული მოუნელებელი საჭმელი; ფადართი”), ვიდრე ქართულ მჩორე-სთან (“მალთა და მხეცთა სკორე”), ამიტომ, ვერც იმას გამოვრიცხავთ, რომ ეს მეგრულ-სვანური მასალა შესაძლოა სხვა არქექტიპიდან (< *ცქირ- ?) მომდინარეობდეს;

3) ტესტელეცის მცდელობა, შეპირისპირებულ ქართულ და ზანურ მეორე პირის კუთვნილებით ნაცვალსახელებს სვანური ისგუტი/ისგუ დააცილოს, გაუმართლებელია. ის მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ “სვანური პირველი პირის ნაცვალსახელებში ასეთივე ლაბიალური ელემენტის წინ შიშინა ნარჩუნდება: მი-შგ-უ “ჩემი”, გუ-შგ-უ-წ-ჟ “ჩვენი” (1995: 19). მაგრამ სქ *ჩუ- თანხმოვანთკომპლექსიდან მომდინარე შგუ ბგერათმომდევრობა, როგორც ეს თ. გამყრელიძესვე ჰქონდა აღნიშნული, სვანურში არც სხვა შემთხვევებში “განიცდის მომდევნო ბაგისმიერი უ-ს გავლენით -სგ- კომპლექსში გადასვლას” (1959: 42). ტესტელეცი ასევე ფიქრობს, რომ ისგუტი ფორმა ისგუ-ს გვიანდელი, ნაუმლაუტარი ვარიანტია და, მისი ვარაუ-

დით, ამოსავალი -უ “შესაძლოა წარმოადგენდეს მორფოლოგიურ ელემენტს, აღმოცენებულს სვანურის ნიადაგზე”. ჩვენი აზრით კი, ამოსავალი აქ სწორედ ისგუი ფორმაა, ხოლო ისგუ-ს ბოლოკიდური უ ისევეა მიღებული უ-სა და ი ხმოვნის შერწყმით, როგორც დერუ-ს (<დერუ-ი), ეშხუ-სა (ეშხუ-ი) და სხვა ანალოგიურ შემთხვევებში, და, ამდენად, სქ *შუენ- არქეტიპში *უ-ს გამოსანაწევრებლად, ვფიქრობთ, არავითარი საფუძველი არ არსებობს;

4) ქართულ შიბ- სიტყვის ძირითადი მნიშვნელობებია: (ხევს. – ჭინჭარაული) “1. ძეწკვი, წვრილი ჯაჭვი; 2. ბილიკი გაუვალ კლდეზე”, (ფშ. - ხორნაული) “1. ქალების სამკაული, ყელსაბამი, ვერცხლის ძეწკვებზე ასხმული ფულები და პატარ-პატარა გამოსახულებანი; 2. ზოლი რაიმეზე, უმთავრესად კი კლდეზე, ისეთი, რომელზეც ფეხის მოკიდება შეიძლება”. აშკარაა, რომ მეორე მნიშვნელობა, როგორც ამას თავად თ. გამყრელიძე ვარაუდობდა, მეტაფორული გადატანის შედეგადაა მიღებული (1959: 74). ამგვარი გადასვლისათვის შდრ., მაგ.: ბაწარი “მაფი, თოკი” > (აჭარ.) “ბილიკი, საცალფეხო გზა”, (ხევს.) გზაბაწარი “ბილიკი, ვიწრო გზა”, (ტაოური) გზაბაწარა//გზაბაწარი “ბილიკი: ფეხი გზაა”. ამდენად, ქართულ შიბ-ს შემდეგებელია რაიმე ჰქონდეს საერთო “დოლაბისა” და “წისკვილის” აღმნიშვნელ წარმოდგენილ ზანურ ფორმებთან;

5) როგორც ჩანს, რომ მეგრულ *შქინ- ძირეულ მორფემაში *შქ-> სქ სწორედ გვიან განვითარებული წინამავალი რ-ს გავლენით განხორციელდა (იხ. ზევით: შენიშვნა 7);

6) “უხარისხო კერვის” მნიშვნელობით მეგრულის ლექსიკონებში ვადასტურებთ არა ნძგილ-, არამედ ნძგვილ- (ქაჯაია – ნძგვილ-უ-ა, ნძგვილ-უნ-ს) და ჯგვილ- (ჯგვილ-აფ-ი) ძირებს;

7) მეგრულის ლექსიკონებში “ჯილეს” მნიშვნელობით გვხვდება არა *ონძგილე, არამედ ონძილე.

ამრიგად, ვფიქრობთ, აშკარაა, რომ ზანურსა და სვანურში სქ შიშინებიდან მომდინარე შიშინა+ველარული ხშული ტიპის კომპლექსებში შიშინები გასისინებას განიცდიდნენ მხოლოდ უ, ო, უ და ვ ფონემათა წინ და ზანურში ასევე რ-ს მომდევნოდაც. ეს იყო აუცილებელი პირობა, რომლის არარსებობის შემთხვევაშიც შიშინათა გასისინება ამ ენებში არ ხდებოდა. მეორეს მხრივ, უდავოა ისიც, რომ ამ პროცესს არ ჰქონია რეგულარული ხასიათი და ის არ განხორციე-

ლებულა უგამონაკლისოდ, რაზეც მოწმობს ის არაერთი მაგალითიც, როცა ზანურსა და სვანურში, წინააღმდეგ მოლოდინისა, აღნიშნულ პოზიციებში მაინც შიშინებია წარმოდგენილი. ამასთან, და ეს ზევით უკვე აღინიშნა კიდევ, ცალკეულ შემთხვევებში წესის დარღვევის მიზეზი ვერ დგინდება. მაგრამ, როგორც ეს კარგადაა ცნობილი სპეციალური ლიტერატურიდან (მაგ.: Osthoff, Brugmann 1878, Hock 1991: 107-110, Lehman 1992: 203, McMahon 1994: 15, 70, Kiparsky 1995, Kiparsky 2003: 331, Hock 2003: 454, Hock, Joseph 2009: 125, 139, 141, Hock 2010: 63, Salmons 2010: 100-101, Bye 2011: 1408, Campbell 2013: 26-28, Bybee 2015: 69-70, Garrett 2015: 234-235; BurrIDGE, Bergs 2017: 88, De Angelis 2020; Joseph 2021: 76, Salmons 2021: 37, 60 და სხვ.), დისიმილაციური პროცესები უმეტესად სწორედ არარეგულარულობით, სპორადულობით გამოირჩევა¹ და, როგორც ჩანს, ამგვარ არარეგულარულ დისიმილაციურ მოვლენებთან უნდა გვკონდეს საქმე ამ შემთხვევაშიც.

მ ა კ ა ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა

-ა მავრცობის გამოყენებისათვის თანამედროვე ქართულში

„ფორმები ოთხი ბრუნვისა (მიც., ნათ., მოქ., ვით.) მხოლოდით-ში და იმავე ბრუნვებისა I მრავლობითში შეიძლება გავრცობილ იქნეს ა ელემენტის დართვით, რომელიც წარმოშობით ნაშთია განსაზღვრების ნაწილაკისა (ე. წ. ნაწევრისა ანუ ართრონისა), სახელთან შეზრდილი. ეს ელემენტივე შეიძლება დაერთოს აგრეთვე II მრავლობითის თანიან მრავლობითს (მოთ., მიც., ნათ)“ (შანიძე 1973: 48).

¹ „დისიმილაცია რეგულარულია იქ, სადაც ის შეზღუდვების განხორციელებას ემსახურება“ (Kiparsky 2003: 331), რის საუცხოო მაგალითსაც წარმოადგენს მაჭავარიანის წესით გათვალისწინებული მოვლენა ვეღარების დისიმილაციური განუვითარებლობისა სქ-დან მომდინარე შქ ტიპის კომპლექსებში ზანურსა და სვანურში (იხ. აქვე: ზევით). ეს წესი უგამონაკლისოა იმ შემთხვევებში, როცა სქ-დან მომდინარე ძირი ვეღარულ ხშულს შეიცავს, და მხოლოდ პოსტველარული სპირანტის შემცველ, „ექსპრესიული“ სემანტიკის მქონე რამდენსამე ზანურ ძირში ირდევვა.

თანამედროვე ქართულ ენაში -ა სავრცობის ხმარების ორი ძირითადი შემთხვევა შეინიშნება. პირველი, როდესაც -ა სავრცობი აუცილებელია და მეორე, როდესაც მისი ხმარება ასეთი აუცილებლობით არ არის გამოწვეული.

პირველი რიგის შემთხვევები სალიტერატურო ქართულში დავას არ იწვევს. კერძოდ:

ა) -ა ხმოვანი უთუოდ გამოვლინდება თანხმოვანზე გათავებულ სიტყვებში -**ც(ა)** ნაწილაკის წინ (**წამალსაც, სახლისაც, შენგანაც, უწინაც...**). გამონაკლისს წარმოადგენს: **შენც, ჩვენც, თქვენც...**

ბ) აუცილებელია -ა ხმოვნის ხმარება სახელის მიცემითი ბრუნვის ფორმებთან, როდესაც მას -**ვით** თანდებული ერთვის (**კალიასავით, მზესავით, ხბოსავით...**).

გ) ჩვეულებრივ -ა ხმოვნის გარეშე არ იხმარება ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელი, როდესაც ის საზღვრულს მოსდევს (**მალა სიყვარულისა, ხმამ დედისამ, მუშაობას გიორგისას...**).

დ) მავრცობი -ა მუდამ ახლავს სიტყვას, თუ ეს სიტყვა, ჩვეულებრივ, იგუებს მას და, ამასთანავე, შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილია (**ქვისაა, დავითისაა, კარგადაა, იმიტომაა, აქაა...**).

ე) როდესაც **და** ან **თუ** კავშირითაა შეერთებული მიცემით ან ნათესაობით ბრუნვაში წარმოდგენილი ორი სახელი, რომელთაგანაც მეორე თანდებულდართულია, პირველი აუცილებლად -ა ხმოვანს საჭიროებს (**ქვასა და კლდესავით, დიდსა თუ პატარსათან, მიწასა თუ ცაზე, სიმღერებსა და ცეკვებში...**

მეორე რიგის შემთხვევებიდან თანამედროვე ქართულში ყუარადლებას იქცევს **და, თუ** კავშირებით შეერთებული ორი სიტყვა, რომელთა შესახებაც ნორმებში ვკითხულობთ: „თანამედროვე სალიტერატურო ქართულ ენაში მავრცობი -ა-ს ხმარება სავსებით ბუნებრივი და მართებულია **და** და **თუ** კავშირების წინ, როცა ეს კავშირები აერთებს ორ სიტყვას (გარდა ზმნებისა): **დასა** და **მმას, მიწისა** თუ **ცის, ამასა** თუ **იმას...**“ (ნორმები 1985: 23).

რადიო-ტელევიზიისა თუ პრესის ენაში **და, თუ** კავშირების წინ გვხვდება როგორც სავრცობიანი, ისე უსავრცობო ფორმები: „**მზისა და მთვარის** სხივ-კრთომაზე, ქართული ხმლების ელვარება ილანდება“ (ლ. სანიკიძე), შდრ.: „შენს ღვაწლთან **მზის და მთვარის** სხივი არაფერია“ (lib.ge); „ვიცი, რომ ამ დროში **დედასა და მამას** დედამთილ-მამამთილს აღარავინ ეძახის“ („ახალი თაობა“: 2010), შდრ.: „აქედან დაიწყო **დედას და მამას** შორის ურთიერთობა, რომელიც სა-

ბოლოო ჯამში ქორწინებით დაგვირგვინდა“ („ახალი თაობა“: 2007); „ძალიან ხმაურიანია ეს დოლიდის ქუჩა, განურჩევლად **დღისა თუ ღამის**“ (tavisupleba.org), შდრ.: „გსმენიათ კიდეც, თუ როგორ არღვევს **დღის თუ ღამის** მყუდროებას ჩვილის ტირილი“ („საქ. რესპუბლიკა“: 2007) და სხვა.

საყურადღებოა, რომ თანამედროვე ქართულში შეინიშნება ტენდენცია **და, თუ** კავშირების წინ **-ა** სავრცობის ნაკლებად გამოყენებისა.

დაისმის კითხვა: აღნიშნულ შემთხვევებში **-ა** სავრცობის გამოუყენებლობა არის თუ არა ნორმის დარღვევა?

ვფიქრობთ, ასეთ შემთხვევებში **-ა** სავრცობის დართვა უფრო სტილური მახასიათებელია – და არა მორფოლოგიური ნორმა.

რ ო მ ა ნ ლ ო ლ უ ა

კავკასიის ალბანური ენის ადგილისათვის მონათესავე ენათა შორის
(გლოტოქრონოლოგიის მონაცემებით)

კავკასიის ალბანურში დასტურდება 100 სიტყვიანი სიის 74 შესატყვისი.¹ ამ ლექსიკურ ერთეულთა შეპირისპირების შედეგად მონათესავე ლეზგიურ ენების, ხუნძურისა და ლაკურის ანალოგიურ ლექსიკურ ერთეულებთან მივიღეთ შემდეგი ლინგვისტატისტიკური მონაცემები:

უდ.	ლეზგ.	თაბ.	ად.	რუთ.	წახ.
55 (74.3%)	36 (48.6%)	34 (45.9%)	36 (48.6%)	32 (43.2%)	30 (40.5%)

¹ პალიმფსესტებში დადასტურებული კავკასიის ალბანური ენის საკუთარი ლექსიკური ფონდი შეზღუდულია და სულ რაღაც 570 ერთეულს მოიცავს. ამათგან გამოვლინდა 233 საერთო ძირი უდიურთან, რაც ამ ფონდის 40.9 % შეადგენს. გარკვეული ნაწილი ჰპოვებს პარალელს სხვა ლეზგიურ ან დაღესტნურ ენებთან, ხოლო დაახლ. მესამედის ეტიმოლოგია დღეს ნათელი არ არის.

კრიწ.	ბუდ.	ხინ.	არჩ.	ხუნძ.	ლაკ.
33	30	22	29	26	25
(44.6%)	(40.5%)	(29.7%)	(39.1%)	(35.1%)	(33.8%)

გლოტოქრონოლოგიური მონაცემების მიხედვით, კავკასიის ალბანურისა და უდიურის დაშორება დაახლ. 1800 წლის წინ უნდა მომხდარიყო, რაც დაახლ. 500 წლით აღემატება იმ რეალურ შუალედს, რომელიც უდიურსა და კავკასიის ალბანურ წერილობით ძეგლებს შორის არსებობს. აღსანიშნავია, რომ უდიურთან საერთო ლექსიკა პროცენტულად მნიშვნელოვნად აღემატება სხვა ლეზგიური ენების ლექსიკის პროცენტულ მაჩვენებელს. გარკვეულწილად გაკვირვებას იწვევს ხინალულური ენა, რომლის საერთო ლექსიკა კავკასიის ალბანურთან პროცენტულად ჩამორჩება თვით ხუნძურისა და ლაკურის ანალოგიურ მაჩვენებლებს. თუმცა, ვფიქრობთ, რომ მხოლოდ ლექსიკოსტატისტიკური მონაცემების მოშველიებით დასკვნების გაკეთება არამართებულია.

ამრიგად, გლოტოქრონოლოგიის მონაცემები მხარს უჭერს შემდეგ დებულებებს:

კავკასიის ალბანური და უდიური ერთი წარმომავლობის ენებია, უდიური კავკასიის ალბანურისაგან მომდინარეობს;

უდიური არ მომდინარეობს უშუალოდ კავკასიის ალბანური ენის იმ დიალექტისგან, რომლის წერილობითი ძეგლები შემოგვრჩა; ეს გასაკვირი არც არის, რადგან უდიების დღევანდელი განსახლების არეალია ჩრდილოეთ აზერბაიჯანის ცენტრალური სექტორი, მაშინ როდესაც კავკასიის ალბანეთის ცენტრი იყო ქალაქი პარტავი (დღეს ქ. ბარდა), რომელიც მტკვრის სხვა (მარჯვენა) სანაპიროზე მდებარეობდა თანამედროვე სამხრეთ-დასავლეთ აზერბაიჯანში.

უდიურისა და კავკასიის ალბანურის საერთო წინაპარი ერთ-ერთი პირველი (სავარაუდოდ – არჩიზულის შემდეგ) გამოეყო საერთოლეზგიურ ერთობას. ლექსიკოსტატისტიკური მონაცემები მხარს არ უჭერს მოსაზრებას, რომელიც უდიურს/კავკასიის ალბანურს ლეზგიურ ენებში შემავალად არ მიიჩნევს (ნ. სტაროსტინი და სხვ.) და არც იმ მოსაზრებას, რომელიც უდიურს/კავკასიის ალბანურს აღმოსავლეთ-სამხრულ ენებად თვლის (ი. გიპერტი, ვ. შულცი). აღსანიშნავია, რომ მეორე თვალსაზრისი სწორედ გლოტოქრონოლოგიის მონაცემებს იშველიებს, თუმცა, ჩვენი აზრით, ამ მოსაზრებას არანაირი საფუძველი არ აქვს.

შვილის აღმნიშვნელი ლექსიკა ქართველ ებრაელთა მეტყველებაში

მოხსენების მიზანია აჩვენოს შვილის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების გამოყენების თავისებურებები ქართველ ებრაელთა მეტყველებაში.

ლექსიკური თავისებურებების კვლევისას აღსანიშნავია ებრაელთა მიერ (1) ებრაული ლექსიკისა და (2) ქართული ლექსიკის გამოყენების თავისებურებები. თითოეულ ჯგუფში, თავის მხრივ, შეიძლება რამდენიმე ქვეჯგუფის გამოყოფა. ჩვენს მოხსენებაში ქართული ლექსიკური ერთეულების თავისებურ გამოყენებაზე შევაჩერებთ ყურადღებას, რომელსაც რამდენიმე ჯგუფად წარმოვადგენთ:

1 ებრაელები იყენებენ ქართულ სალიტერატურო ლექსიკურ ერთეულებს ზუსტად იმავე მნიშვნელობით, როგორც ეს ქეგლ-ში დასტურდება (შვილი, ასული...);

2 ებრაელები იყენებენ დიალექტურ ლექსიკას დიალექტურ ლექსიკონებში დადასტურებული მნიშვნელობით (ციცა, ბოში, ბოშუნიკა...);

3 ებრაელები იყენებენ ქართულში არსებულ ლექსიკურ ერთეულებს (როგორც სალიტერატუროს, ასევე დიალექტურს) განსაკუთრებული სიხშირითა და განსხვავებული სემანტიკური ნიუანსით (ვაიშვილი, ჯამათი, დადიანი);

4 ებრაელები იყენებენ ქართულ ლექსიკურ ერთეულებს, მაგრამ აღნიშნული სიტყვათხმარება მათ ეთნიკურობაზე მიუთითებს (ოქრო, დაგენაცვლე).

დასახელებული ლექსიკური თავისებურებანი ადამიანის აღმნიშვნელი ლექსიკის განხილვისასაც იჩენს თავს. წინამდებარე მოხსენებაში **შვილის** აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულებით შემოვიფარგლებით.

ქეგლ-ის მიხედვით, შვილი განმარტებულია, როგორც „ადამიანი თავისი მშობლების მიმართ“. იქვე მოცემულია შვილთან დაკავშირებული შესიტყვებები: კანონიერი შვილი, უკანანო შვილი, ნა-

მდვილი შვილი, ღვიძლზე ნადები შვილი, სიყრმის შვილი, შვილად აყვანა, აყვანილი შვილი და სხვა.

ისევე როგორც არაებრაელები, ებრაელებიც, რა თქმა უნდა, ამათგან ზოგ ლექსიკურ ერთეულს (შვილი, კანონიერი შვილი, უკანანო შვილი, შვილად აყვანა და ა. შ) ხშირად გამოიყენებენ, ხოლო ზოგ მათგანს შედარებით იშვიათად (ღვიძლზე ნადები შვილი...).

სალიტერატურო ქართულში ზოგადი სიტყვა „შვილი“ სქესის მიხედვით არ არის გარჩეული, ის აღნიშნავს როგორც მამრობითი, ასევე მდედრობითი სქესის შვილს. თუმცა მთის დიალექტებში, ასევე სვანურში შეიძლება შვილი მხოლოდ ვაჟის აღსანიშნავად გამოიყენონ. ანალოგიური შემთხვევა ებრაელებთან არ დაგვიდასტურებია.

ებრაელთა მეტყველება სიტუაციების მიხედვით განსხვავებული იყო: მათი ერთი ნაწილი სალიტერატურო ქართულით მეტყველებდა, ზოგი იმ დიალექტისათვის დამახასიათებელ ფორმებს იყენებდა, რომელშიც ცხოვრობდა, ზოგი ებრაელთათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ფორმებს ანიჭებდა უპირატესობას. ამიტომაც, რომ ებრაელთა მეტყველებაში დასტურდება შვილის აღმნიშვნელი თითქმის ყველა ლექსიკური ერთეული, რომელიც სალიტერატურო ქართულსა თუ დიალექტებშია. უმეტესად სწორედ იმავე მნიშვნელობით. გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ ვაიშვილი, რომელიც გურულ დიალექტშიც დავადასტურეთ (იხ. გურული დიალექტის ლექსიკონი). თუმცა გურულში ეს ფონეტიკური ვარიანტი უნდა იყოს ვაჟიშვილისა, ხოლო ებრაელებთან მას ცოტა განსხვავებული სემანტიკური ნიუანსიც ახლავს. კერძოდ, უარყოფითი კონოტაცია(თუ ვაჟიშვილი რაიმე პრობლემას შეუქმნიდა ოჯახს, მაშინ მშობლები ან ახლობლები ამბის მოყოლისას გამოიყენებდნენ ვაიშვილ ფორმას, რაც ვაისა და შვილის შეერთებით იყო სავარაუდოდ მიღებული): „ჩემმა ვაიშვილმა რაც დამმართა, მტერი ვერ გამიკეთებდა იმას“.

საქართველოში ადამიანის საკუთარი ბიოლოგიური შვილების გარდა შეიძლებოდა ჰყოლოდა გერი (ცოლს ან ქმარს მოყოლილი შვილი). ქეგლ-ის მიხედვით **გერ-ი** განმარტებულია ცოლ-ქმარს შორის ერთ-ერთის შვილად, მეუღლეთაგან ერთ-ერთის არაშვილად. მას ხშირად მოყოლილ შვილსაც ემახდნენ. საინტერესო მოსაზრება აქვს გერის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით კ. ლერნერს. „ელინისტური პერიოდის ებრაელმა ემიგრანტებმა ახალ ქვეყანაში შეიტანეს

პროფესიული ოსტატობა, საერთაშორისო ვაჭრობა და საინვესტიციო კაპიტალი. ვინაიდან ებრაელების საქმიანობამ აშკარა ეკონომიკური სარგებელი მოუტანა ქვეყანას, მათ მფარველობდა სახელმწიფო, რომელიც მათ ავტონომიას ანიჭებდა კომუნალურ და რელიგიურ სფეროებში. ებრაული თემი სარგებლობდა ბიბლიური კოლექტიური სტატუსით „ახალმოსულთა, უცხოთა“ – ებრაული „გერები“, ან ქართულად „მცხემ“ (შდრ., ქართული ნა-გერ-ალ-ი, რომელიც ქველ-ის მიხედვით მოსავლის აღებისას მიწაში ჩაბნეული და ჩარჩენილი თესლიდან აღმოცენებული კულტურული მცენარეა, «დაუთესლად მოსული» რამდენიმე დასავლურ დიალექტში კვლავ ნიშნავს „მოსავლის ნარჩენს მინდორში“ ან „მოსავლის შეგროვების შემდეგ მინდორში დარჩენილ მარცვლის ღეროებს“. ფაქტობრივად, მოსავლის ეს ნაწილი დარჩა ღარიბებისთვის, ქვრივებისთვის და საერთოდ უცხოელებისთვის – გერებისთვის, რომლებიც ამ მხარეში დასახლდნენ. ეს ჩვეულება ასახავს ძველ აღთქმაში აღწერილი უძველეს სოციალურ პრაქტიკას: „და როცა მოიმკი შენი მიწის მოსავალს, არ მოიმკი მინდვრის კუთხეები მთლიანად და არ მოაგროვო შენი მოსავალი. და დატოვეთ ისინი ღარიბებისთვის და უცხოებისთვის [ებრ. ger]“ (ლევია. 19:9-10; შდრ. კან. 24-19; დაბ. 15:13; გამოსვლა. 22:21). ასე რომ, ძველ ქართლში II ს. ძვ.წ. მე-4 ს-მდე. ახ.წ. ცნობილი ბიბლიური სოციალური ინსტიტუტი იყო „გერ-ახალმოსულეები-მცხემები“ და ქართველ ებრაელებს მიენიჭათ ეს კოლექტიური სტატუსი. IV-V სს. ებრაელი ხელოსნები და ვაჭრები იჯარის მფლობელები გახდნენ და მთელ ქვეყანაში გაიფანტნენ. გერების კოლექტიური სოციალური სტატუსი შეიცვალა ინდივიდუალური იჯარის მფლობელის სტატუსით. მოგვიანებით, X-XI სს. ებრაულმა საზოგადოებამ მიიღო შესაძლებლობა გაეგზავნა მათი შვილები ბაბილონის რელიგიურ იუდაურ აკადემიებში. XIII საუკუნიდან, მონღოლთა მმართველობის დროს, საქართველოს ებრაული მოსახლეობის უმეტესი ნაწილი კარგავს პიროვნულ თავისუფლებას და ხდებოდა სახელმწიფოს (მეფის ოჯახის), ეკლესიისა თუ ადგილობრივი თავადაზნაურობის ყმები. საქართველოში ბატონყმობა მხოლოდ 1864 წელს გაუქმდა, ამიერიდან დაიწყო თემის ახალი ისტორია“ (ლერნერი 2008).

ებრაელები იყენებენ შვილის / შვილიშვილის მნიშვნელობით ლექსიკურ ერთეულს „შთამომავალი“ (შთამომავალ-ი ძვ. წიგნ. შვილი

და მომდევნო თაობები), მაგრამ უპირატესობას ანიჭებენ და ხშირად გამოიყენებენ ამ მნიშვნელობით ჩამომავალსა და ჩამომავლობას (ქეგლ-ის მიხედვით, ჩამომავალი, ნაშიერი. იგივეა, რაც შთამომავალი). ამავე მნიშვნელობით უარყოფითი კონოტაციით დასტურდება ჩამონათესი, რომელიც ქეგლ-ის მიხედვითაც ნიშნავს ჩამომავალს, მოდგმას, ნაშიერს.

გარდა კანონიერი, ნამდვილი შვილისა, ადამიანს შეიძლება ჰყავდეს აყვანილი შვილი. ქელის მიხედვით შვილად აიყვანს, აყვანილი შვილი, ნაშვილვეი განმარტებულია და აღნიშნავს მას, ვინც იშვილეს, შვილად აიყვანეს. **ამავე ლექსიკონში უკანანო შვილი განმარტებულია** როგორც ოფიციალური ქორწინებით შეუღლების გარეშე შობილი.

ეს ორი ლექსიკური ერთეული ებრაელებთან ჩვეულებრივ გამოიყენება. თუმცა უარყოფითი კონოტაციით ორივე მათგანის აღსანიშნავად ებრაელები გამოიყენებენ ბუშს ან ნაბუშარს. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მშობლების ან თავად შვილის მიმართ ჰქონდათ უარყოფითი განწყობა.

ქეგლ-ის მიხედვით ბუში ქორწინების გარეშე ნაყოლი შვილი (სინონ. ნაბიჭვარი). ხოლო **ნაბუშარ**-ი იგივეა, რაც ბუში. ასევე **ნაბიჭვარიც** იგივეა, რაც ბუში.

ქ ე თ ე ვ ა ნ მ ა რ გ ი ა ნ ი

ნათესაობის აღმნიშვნელი ზოგი სვანური ლექსემის მიმართება ქართველურ ენობრივ სივრცესთან (სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი)

ძირითად ლექსიკურ ფონდში ნებისმიერი ენისთვის ერთ-ერთი საინტერესო მონაკვეთია ნათესაობის ლექსიკა; ქართველურ ენებში ის განსაკუთრებულად მრავალფეროვანია, რაც, ჩვენი აზრით, უკავშირდება ქართულ თუ კავკასიურ ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს.

ნათესაობის აღმნიშვნელი ზოგი სვანური სახელი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ, მიუხედავად ქართულთან სტრუქტურული თანხვედრისა, სემანტიკა ნაწილობრივ გადაწყული ან გაფართოებულია და ასახავს საქართველოს ამ მთიანი კუთხის მკვიდრთა, ენის მატარებელთა ჩვეულებითი დამოკიდებულების დამატებით ნიუანსებს საანალიზო საკითხის მიმართ;

მოხსენებაში განხილულია ის ლექსემები, რომლებიც აღნიშნავენ *ქალის*, ასევე საკუთრივ *დედის ხაზით მეგვიდრის* სტატუსს სისხლისმიერი ნათესაობით (გვარი, თემი) ან წარმომავლობით (ეთნოსი, კუთხე, ქვეყანა...) განსაზღვრულ სოციუმში.

მაგალითად, სიტყვა *ასულს*, რომელიც ქართულში მნიშვნელობით *ქალიშვილს* უთანაბრდება, სვანურში ფონეტიკურად შეესაბამება *ჰასჷიმ*, თუმცა სემანტიკურად ისინი ვერ ფარავენ ერთმანეთს: სვანურში *ჰასჷიმ* იწოდება გათხოვილი ქალი თავისი გვარისა და თუ თემის მიმართ, მაგრამ იგივე ლექსემა არ გამოიყენება ქალის ერთი კონკრეტული ადამიანისადმი (მშობლისადმი) მიმართების გამოსახატავად.

ასევეა ლექსემა *ნიბჷშინ*, რომლის მნიშვნელობა ქართულ დიალექტურ შესატყვისთან („ბადიში“) შედარებით, გაცილებით ფართოა და აღნიშნავს არა მხოლოდ *შვილიშვილს* ან *შვილთაშვილს* (რომლის სტრუქტურულად და სემანტიკურად ფარდი კომპოზიტი სვანურში არის *გეზლაგეზალ*), არამედ სუბიექტის ნათესაურ ან წარმომავლობით მიმართებას გვართან, თემთან და ა. შ. მხოლოდ და *მხოლოდ დედის ხაზით*.

არქაულობით გამორჩეული სვანური ენის მრავალფეროვნება საანალიზო ლექსიკის თვალსაზრისით, ვფიქრობთ, შეესაბამება საზოგადოებაში ქალის ადგილისა და, ზოგადად, გენდერული პრობლემისადმი ტრადიციულ საერთოქართველურ მენტალურ დამოკიდებულებას.

მაკროკონცეპტ „ნათესავის“ აღმნიშვნელობები

თანამედროვე კულტუროლოგიური და ლინგვოკულტუროლოგიური მიდგომა კონცეპტისადმი, უწინარეს ყოვლისა, სულიერი ღირებულების ცნებად მიიჩნევს მას, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა პარადიგმის მორიგ ცვლას, რომლის შედეგადაც გასული საუკუნის დასაწყისში გაბატონებული სისტემურ-სტრუქტურული პარადიგმის ადგილი ანთროპოცენტრულმა პარადიგმამ დაიკავა.

ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვები ერთ-ერთ უძველეს ლექსიკურ ფენას მიეკუთვნებიან და მათ, როგორც ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის შემადგენლებს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ ქართული ლინგვოკულტურული სივრცის დასახასიათებლად.

ჩვენამდე მოღწეულ პირველსავე ლიტერატურულ ძეგლში გვხვდება როგორც კონკრეტულ ნათესაურ დამოკიდებულებათა სახელმძღვანელო ლექსემები (სისხლით ნათესავისა და ქორწინების გზით შეძენილი ნათესავის აღმნიშვნელი ათზე მეტი ერთეული), ასევე ნათესაობის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინები – ახლო ნათესავთა გამაერთიანებელი, ოჯახისა და ოჯახის წევრთა სახელმძღვანელო ლექსემები „სახლი“, „სახლეული“ და უფრო ფართო მნიშვნელობის ტერმინ-კომპოზიტი „თესლ-ტომი“, რომლის თითოეული კომპონენტი დამოუკიდებლადაც ხშირად დასტურდება ძველ ქართულ ტექსტებში ნათესაობის ცნების აღსანიშნავად. „შუშანიკის წამებაში“ გამოყენებული ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვები: „დედა“, „მამა“, „შვილი“, „ძე“, „ასული“, „და“, „მმა“, „ცოლი“, „ქმარი“, „მაზლი“, „მმის ცოლი“ (ტექსტში ასევე დასტურდება მარტივი ტერმინი „სძალი“ (> რძალი), თუმცა არა „მმის ცოლის“ მნიშვნელობით) ასახავენ იმდროინდელ ფაქტობრივ ნათესაურ ურთიერთობებს და ადასტურებენ იმას, რომ ნათესაურ კავშირთა და შესაბამის ტერმინთა სისტემა მეთექვსმეტე ასწლეულია თითქმის არ შეცვლილა.

ენის რიგითი მატარებლისათვის რომელიმე ენის მორფოლოგიურ-სინტაქსურ შესაძლებლობათა შეფასება თუ რთულია, ლექსიკური მარაგის სიმდიდრე შედარებით ადვილი შესაგრძობია. მიუხედავად ამისა, თანამედროვე ქართულ დისკურსში, უცხო ენათა გავლენით, სულ უფრო იშვიათად გვხვდება ნათესაობის ტერმინები „მამიდა“ და „ბიცოლა“, რომელთა ნაცვლადაც „დეიდაა“ გამოყენებული როგორც მიმართვის შემთხვევებში, ასევე აღნიშნულ პირთა დაუსწრებელ კონტექსტებში. არცთუ იშვიათად „მამიდაც“, „ბიცოლაც“ და „დეიდაც“ შესაბამისი ანთროპონიმებითაა ჩანაცვლებული. ამგვარ, ერთი შეხედვით, უწყინარ ცვლილებებს მნიშვნელოვანი ძვრების გამოწვევა შეუძლია როგორც სოციალურ ურთიერთობებში (შესაბამისად, მენტალურ სტრუქტურებში), ასევე ენაში.

კულტურული ტრადიციის გაუფასურება ღირებულებათა სისტემის ცვლილებებს იწვევს, რაც, თავის მხრივ, ნებისმიერ ენასა და ამ ენის განმახორციელებელ დისკურსზეც აისახება. როცა ვცდილობთ გავერკვიოთ ჩვენს კულტურულ იდენტობაში, გვერდს ვერ ავუვლით სხვა კულტურათა შესახებ ცოდნას ისევე, როგორც დედანის უნიკალურობას ვერ ვიგრძნობთ სხვა ენასთან შედარების გარეშე. სწორედ ამიტომ სამეცნიერო ლიტერატურაში სულ უფრო იზრდება იმ ნაშრომთა რიცხვი, რომლებშიც ნათესაობის სისტემათა ტიპოლოგიური კვლევის შედეგებია წარმოდგენილი.

ლექსემა „ნათესავი“ ლინგვოკულტურული კონცეპტის სახელად შევარჩიეთ როგორც ხშირი ხმარების სიტყვა ქართული ენის განვითარების ყველა ეტაპზე და როგორც მკვიდრი სემანტიკური ბირთვის მქონე ერთეული ძველი ქართულიდან თანამედროვემდე.

„ნათესავი“, როგორც მაკროკონცეპტი, ყველა სახის ნათესაურ დამოკიდებულებას მოიცავს, როგორც ჰიპერონიმი – ნათესაობის ტერმინთა მთელ სისტემას, როგორც ცნების სახელი კი წვევრია გრძელი სინონიმური რიგისა, რომელსაც მოხსენებაში ვრცლად განვიხილავთ.

**ხორხის/ყორყის/ყანყრატოს და ა. შ. აღმნიშვნელ
სომატურ ერთეულთა სტრუქტურულ-სემანტიკური
ანალიზისათვის სვანურში**

ხორხის/ყორყის/ყანყრატოს და ა. შ. აღმნიშვნელი სომატონი-მების შესახებ ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ ყოფილა მსჯელობა, შესაბამისად სხვადასხვა თვალსაზრისებია გამოთქმული. ცხადია, მეცნიერთა მიერ გამოტანილი დასკვნებიც არაერთგვაროვანია, რაც ნათლად ჩანს როგორც ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონებიდან, ასევე სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომებიდანაც. ვინაიდან ამ ლექსიკურ ერთეულთა უმეტესი ნაწილის საერთოქართველურ დონეზე რეკონსტრუირება ვერ ხერხდება, ამიტომ გადავწყვიტეთ მათი კომპლექსური შესწავლა სვანურში სხვა ქართველურ ენებთან შედარება-მეპირისპირების საფუძველზე.

მოხსენებაში სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობითა და ჩვენეული ინტერპრეტაციებით წარმოდგენილი იქნება რამდენიმე ლექსიკური ერთეულის (**ყერყენტ** (ბქ.)/**ყყერენტ** (ლნტ.)/**ყყერინტ** (ჩოლ.) „ყანყრატო“; **ხერხენტ/ხოხროტ** (ბქ.)/**ხხერინტ** (ლნტ.)/ **ხხერინტ** (ლშხ., ჩოლ.) „ხორხი, ყრონტი, ყანყრატო, სასუნთქი მილი“; **ყყერინჯ/ყყერინჯ** (ბზ.)/**ყყერინჯ** (ლშხ., ჩოლ., უშგ.)/**ყყერინჯ** (ლშხ.) „ხორხი, ყრონტი; ყანყრატო“; **ყყყყ** (ზს., ლნტ.)/**ყყყყ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), შდრ. ზს. **ყყყყლდ** „ჩიყვი, ღაბაბი“ (შდრ. ბზ., ქს. **ფყყყ** „ჩიყვი“; ბქ. **ქელთერ** „ღაბაბი“; ჩოლ. **ღურ/ღოლ/ზორძალ** „ჩიყვი“); **ყყინ** (ბქ.) < ქართ. ჩიყვი-ი „ავადმყოფობა, რომელსაც ახასიათებს ფარისებრი ჯირკვლის ჩიჩახვისმსგავსი გადიდება, _ ყყყვი“ (შდრ. ბზ., ქს. **ფყყყ** „ჩიყვი“; ჩოლ. **ღურ/ღოლ/ზორძალ** „ჩიყვი“); **ჩინჩახტ** (ბზ.)/**ჩინჩახტ** (ბქ.)/**ჩინჩაყტ** (ლშხ.)/**ჩინჩაყტ** (ლნტ.) 1. „ჩინჩაყვი“, 2. ბქ. „ნანადირევის გულ-ღვიძლი“...) როგორც სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი, ასევე დაწვრილებითი მიმოხილვა სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისებისა ქართულ-ზანური შესაბამისი ფუძეებისა და განსახილველ მასალაში სუფიქსად გამოყოფილი

ფორმანტების წარმომავლობის შესახებ. ამასთანავე საუბარი გვექნება სამსჯელოდ წარმოდგენილი სომატური ლექსიკური ერთეულების კვლევის სირთულეზეც, რაც, ჩვენი დაკვირვებით, გამოწვეულია სწორედ მათი ვარიაციულობით როგორც სვანური ენის დიალექტკილოკავებში, ასევე ზოგადად ქართველურ ენებში. ცხადია, რთულია საუბარი სესხების მიმართულებაზეც, ვინაიდან ამგვარ ლექსიკას ხმაბაძვით ლექსიკად მოიაზრებენ და, როგორც ვ. აბაევი მიუთითებს, „ეს ფორმები შეიძლება ნებისმიერ ენაში დამოუკიდებლად წარმოშობილიყო“, თუმცა სვანური მასალის ქართულ-ზანურ იგივეობრივ მასალასთან შედარება და ბგერათგადაღების სრული შესაბამისობა გვაპყრობს, რომ ზემოთ წარმოდგენილი სომატური ერთეულების უმეტესი ნაწილი ნასესხებია სვანურში ქართულ-ზანურიდან.

მ ე დ ე ა ლ ო ნ ტ ი

ნათლისღებასთან დაკავშირებული ლექსიკის უკუფენილი ფუნქციური სემანტიკისათვის ქართულში (ნათლია და ნათლიდედა)

მოხსენებაში განიხილება ნათლობისა და ნათლისღების წმიდა საეკლესიო საიდუმლოს ლექსიკურ-სემანტიკური ბუდის კუთვნილი ლექსემები: **ნათელი, წყალი, მირონი, რწმენა, ნათლისღება, ნათლისცემა, ნათლია, ნათლიდედა და ნათლიდედა.**

სათანადო საეკლესიო დოგმატურ-ლიტურგიკული ტექსტებისა და დიალექტური მასალის გათვალისწინებით, გაანალიზდება საანალიზო ლექსიკური ჯგუფის სემანტიკური ფუნქციონირების უმთავრესი მიმართულებები, კერძოდ, ნათლის, ნათლიდედისა და ნათლიამის დანიშნულების როგორც ლინგვისტური, ისე საღვთისმეტყველო წანამძღვრები.

დიალექტიზმები დიმიტრი მაჩხანელის პროზაში

მე-19 საუკუნეში დაიწყო ფაქტობრივ ლიტერატურაში მხატვრულ-სტილისტური დანიშნულებით დიალექტიზმების გამოყენება. ერთ-ერთი პირველი ამ თვალსაზრისით ილია ჭავჭავაძე იყო. მომდევნო თაობის მწერლობაში გამოირჩევიან 70-იან, 80-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული მწერლები: ალექსანდრე ყაზბეგი, დავით კლდიაშვილი, ეგნატე ნინოშვილი, ვაჟა-ფშაველა, დიმიტრი მაჩხანელი, მელანია...

დიალექტიზმებს მხატვრული დანიშნულებით ჩვეულებრივ გამოიყენებენ პერსონაჟთა მეტყველებაში. არაერთგვაროვანი იყო ლიტერატურული სამყაროს დამოკიდებულება სხვადასხვა მწერლისადმი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მწვავე კრიტიკა დაიმსახურეს ვაჟა-ფშაველამ და დიმიტრი მაჩხანელმა.

გაზეთ „ივერიაში“ 1888 წლის 9 აგვისტოს 166-ე ნომერში დაიბეჭდა პეტრე მირიანაშვილის წერილი **„საერო ენა და სათემო კილო“**, რომელშიც კრიტიკოსი მსჯელობს ვაჟა-ფშაველასა და დიმიტრი მაჩხანელის ენობრივი თავისებურებების შესახებ. პეტრე მირიანაშვილი ზედმეტად მკაცრია ვაჟა-ფშაველასა და დიმიტრი მაჩხანელის მიმართ. მიაჩნია, რომ მათმა გამოჩენამ სამწერლობო ასპარეზზე „არია ენის ტამარი“, თვლის, რომ ისინი აკნინებენ ქართული ენის სიდიადეს დიალექტიზმების გამოყენებით. პ. მირიანაშვილი წერს: **„ამ გვარად ენა მეტად აჭრელდა და ქიზიყურის პროზისა და ფშაურის პოეზიის მოვლინებამ ხომ მთლად არია ენის ტამარი; ჰლამის დაჰზადოს მწვალებლობა, მეტად საზარი“**.

საინტერესოა, რომ დიმიტრი მაჩხანელი დიალექტიზმების გამოყენების თვალსაზრისით გაცილებით ზომიერია, ვიდრე იმავე პერიოდში ასპარეზზე გამოსული ე. ნინოშვილი. თუ რამდენად სამართლიანი იყო კრიტიკა ვაჟა-ფშაველას მიმართ, ამის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში იყო მსჯელობა (გ. გოგოლაშვილი). ჩვენ შევეცდებით ვაჩვენოთ, რომ კრიტიკოსი არაობიექტურია დ. მაჩხანელის მიმართაც.

რა სიხშირით იყენებს დიმიტრი მაჩხანელი დიალექტიზმებს თავის მოთხრობებში, რადგან ასეთი დამოკიდებულება გაჩნდა მის მიმართ? ჩვენ ამ თვალსაზრისით შევისწავლეთ მაჩხანელის პროზა („სიყვარულის ამბავი“, თბილისი, 1974 წელი).

გამოვლინდა, რომ დ. მაჩხანელი არც ისე ჭარბად იყენებს ქიზიყურისთვის დამახასიათებელი ფორმებს. მაჩხანელის პროზაში დასტურდება დიალექტური ვარიანტები, თუმცა არა ყველა მოსალოდნელ შემთხვევაში; დიალექტიზმების ნაცვლად სალიტერატურო ქართული ენისათვის დამახასიათებელ ენობრივ ფორმებსაც გვხვდებით, მაგალითად:

„კოდალა **სუ** ხეს აკაკუნებს **დაბადებიდამგე**, მაგრამ იმის გათლილი ფიცარი არავის უნახავს“ („სოფლის ცხორებითგან“, გვ. 124).

მოყვანილ ნიმუშში მხოლოდ ორი ფორმა გვხვდება დიალექტური: „**სუ**“ და „**დაბადებიდამგე**“. ქიზიყურის მიხედვით, მას უნდა შეეცვალა **ხეს – ხეა, იმის – იმი, უნახავს – უნახამ**.

ამგვარი ვითარება გვაქვს მაჩხანელის თითქმის ყველა მოთხრობაში. მისი პროზა არ არის „მთლიანად დიალექტური“. ქიზიყურისთვის დამახასიათებელ ფორმებს მწერალი ძირითადად პერსონაჟთა მეტყველებისას იყენებს, მწერლის ენა სალიტერატურო ქართულს მისდევს. პეტრე მირიანაშვილის კრიტიკული დამოკიდებულება დიმიტრი მაჩხანელის მიმართ საფუძველს მოკლებულია.

ნ ა ტ ო შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი

კორელატთა მონაცვლეობა მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში

მიზეზის გარემოებითი დამოკიდებულის შემცველი ჰიპოტაქსური წინადადებები სვანურში საკმაოდ მრავლად გვხვდება, სადაც დამოკიდებული მთავარს უკავშირდება **ერე** „რომ“ და **ლახ/ალახ** „რაკი“ მაქვემდებარებელი კავშირებით, რომლებიც უმეტესწილად წარმოდგენილია, თუმცა შეიძლება აკლდეს (**ერე** „რომ“) და ივარაუდება.

მთავარ წინადადებაში კორელატაგან ყველაზე ხშირად გამოიყენება **ეჯღა** (სვ.) / **ეჯღად** (ლშხ., ჩოლ.) / **ეჩაღა** (ლნტ.) / **აჯღა** (უშგ.) „იმიტომ“ საკორელაციო სიტყვა, რომელიც ზოგჯერ ჩანაცვლებულია **ეჯნარ** „იმისთვის“ მისათათიებელი ზმნიზედით (მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში მთავარი წინადადების კორელატით), განსაკუთრებით ქვემოსვანურში, სადაც უმეტესად მისათათიებელი სიტყვა წარმოდგენილია ხოლმე:

ჩუ მნდ ადაგარ დჷდ, ეჯნარ [ეჩაღა] ერ ხონკუტი მიჩემ მნდ ადაგარ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967, 187) „არ მოკლა დევმა, იმიტომ რომ პირველად მან არ მოკლა“

სგათძგუტება ზალნ პოლ ეჯნარ [ეჯღა], ერე ჩუ მექურე ლას ჩუქუნხენჟი (ლშხ.) „ჩანგრეულა ზალის იატაკი იმიტომ, რომ ჩამპალი იყო ქვემოდან“...

ასევე დასტურდება ისეთი შემთხვევები, როცა **ეჯღა** „იმიტომ“ მისათათიებელი სიტყვა გვხვდება შინაარსობრივად მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში:

ალ უდუმბირჷ ცხეკჟა ჰეკჷეს ამჩედელან, ეჯღა ერე შუკჷ ჟი ოხუნკჷმდნ (ბზ.) „ეს უღრანი ტყე უნდა გაეელო, იმისთვის რომ გზა შეემოკლებინა“

ჩუ ნომა ოლკჷერმელსჷხ, ეჯღა ფერი ამხლარე ლთხელითე აჩად (ბჟ.) „რომ არ გაყინულიყენენ, იმისთვის გამხმარი ტოტების მოსაძებნად წავიდა“...

მოხსენებაში სრულად იქნება წარმოდგენილი აღნიშნული კორელატების გამოყენების თვალსაზრისით დიალექტებს შორის არსებული მსგავსება თუ განსხვავება.

ე თ ე რ შ ე ნ გ ე ლ ი ა

მეგრული წილიმ-ი (|| წილიშუა || წილიშაფა) სიტყვის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი

მეგრულში, ინფორმატორებთან, დავადასტურეთ ლექსიკური ერთეული **წილიმ-ი** (წილ-იმ-ი) || **წილიშუა** (წილ-იმ-შუ-ა) || **წილიშაფა** (წილ-იმ-აფ-ა) „განაწილება, გაყოფა“: ბებიქ მუში ნახანდი ჯიმა-ლემს ხოლო **ქუწილიშუ** „ბებიამ თავისი ნაშრომი მძებსაც გაუნაწი-

ლა/გაუყო“; კობეშიაში თასი არძომა **ქუწილიშუაფუ** „გოგრის თესლი ყველასთვის გაუნაწილებია/გაუყვია“; ოში ქუსორგედასენი, **წილი-ში/წილიშუა/წილიშაფა** ვაუჩქე „ბევრიც რომ ჰქონდეს, განაწილება/გაყოფა არ იცის/არ სჩვევია“.

წილ-იშ-ი || **წილ-იშ-უ-ა** || **წილ-იშ-აფ-ა** ფორმებში გამოიყოფა **წილ-** ძირი „განაწილება, გაყოფა“, **-ი**, **-ა** საწყისის მაწარმოებლობა, **-უ**, **-აფ** - - თემის ნიშნები, რომელთაც ახლავს **-იშ-**, რომელიც, ვფიქრობთ, უნდა იყოს იმ ოდენობის სუფიქსი, რომელიც გამოყოფილი აქვთ ავტორებს სიტყვებში: **ზორდ-იშ-ი** „ბოდვა“, **კურტ-იშ-ი** „ტლინკაობა“ (ჭ. ქირია, ლ. ეზუგბაია, ო. მემშიში, მ. ჩუხუა, ლაზურ-მეგრული გრამატიკა. I. მორგოლოგია, გვ. 660-661). ამ სიტყვებს შეიძლება დაემატოს: **მენძილიშ-ი** (მე-ნძილ-იშ-ი), **მენძილიშაფა** (მე-ნძილ-იშ-აფ-ა), **მენძილიშუა** (მე-ნძილ-იშ-უ-ა) „მიკვრა, ტმასნა, ძაფის თავების ერთმანეთთან შეგრება“ (ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი) და, აგრეთვე, ინფორმატორებთან დადასტურებული: **ჯილიშ-ი** (ჯილ-იშ-ი) „მიძალება“, „წინააღმდეგობა“ (უ-ჯილ-იშ-უ-ან-ს „ეძალება, ეწინააღმდეგება“).

გამოვლინდა **წილიშ-** ფუძისგან ნაწარმოები სიტყვები: **1.** ვნე-ბითის გვარის ნამყო დროის მიმღეობა **ნა-** **-ა** მაწარმოებლით: **ნაწილიშა** (ნა-წილ-იშ-ა) „ნაწილი, ნაწილადევნი, განაყოფი“: იზოს მზიურმა უთქუალგ, სქანი **ნაწილიშა** ნერგევი მა მუშო მოკოდუა „იზოს მზიურისთვის უთქვამს, შენი ნაწილადევნი/განაყოფი ნერგები მერისთვის მინდოდა“; **2.** მოქმედებებითი გვარის მიმღეობა **მა-** **-არ** მაწარმოებლით: **მაწილიშარი**-ი (მა-წილ-იშ-არ-ი) „გამყოფი, გამანაწილებელი“: მათ ქუმოკოდ, დიდა დო მუმამე მუთუნქ დუმოსქიდგკონი, მარა **მაწილიშარი** მითა რე „მეც მინდოდა, დედისა და მამისგან რამე დამრჩენოდა, მაგრამ გამანაწილებელი/გამყოფი არავინ არის“; **3.** ვნებითი გვარის მყოფადი დროის მიმღეობა **ო-** **-არ** მაწარმოებლით: **ოწილიშარი-ი** (ო-წილ-იშ-არ-ი) „საწილო/გასანაწილებელი/გასაყოფი“: სქანი **ოწილიშარი** ქვირი ჩქი ვამლუნა „შენთვის საწილო/გასანაწილებელი/გასაყოფი ფქვილი ჩვენ არ გვაქვს“.

გაყოფა-განაწილების მნიშვნელობით უფრო ფართოდ არის გავრცელებული **წილ-** || **წი-** (მარტვ.) ფორმა: მა **ქომწილე** || **ქომწიე** „გამიყავი, გამინაწილე“!

არნოლდ ჩიქობავა და ცენზურა

საბჭოთა რეჟიმის პირობებში არაერთი ქართველი მეცნიერი გამხდარა შევიწროების ობიექტი. არნ. ჩიქობავაც ერთ-ერთი მათგანი იყო. მის მიმართ წნეხი განსაკუთრებით გამძლიერდა მას შემდეგ, რაც მან, ახალგაზრდა მკვლევარმა, 1926 წელს გამოქვეყნებულ რეცენზიაში მრავალი კრიტიკული შენიშვნა გამოთქვა მარქსისტული ენათმეცნიერების მთავარ წარმომადგენლად მიჩნეული, ქართველური და კავკასიური ენათმეცნიერების გამოჩენილი მკვლევრის – აკად. ნ. მარის ნაშრომზე „ძველი ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკა“.

მიუხედავად იმისა, რომ არნ. ჩიქობავამ 1929 წელს ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია ნოვატორული ხასიათის ნაშრომით, რამაც მეცნიერთა წრეში დიდი აღიარება მოუპოვა, იმავე წელს ის გაათავისუფლეს ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების მდივნის მოვალეობისაგან – საზოგადოების მუშაობის შემოწმებისას მისი „არამარქსისტული“ განცხადების გამო.

1935 წელს იბეჭდება არნ. ჩიქობავას წიგნი „ზოგადი ენათმეცნიერება. I. პროპედევტიკული ნაწილი“, რომელიც იწყება უჩვეულოდ – გამომცემლობის წინასიტყვაობით, რაც „უპრეცედენტოა იმ თვალსაზრისითაც, რომ იგი მთლიანად შეიცავს წიგნის გმობას, რომლის წინასიტყვაობასაც თავად წარმოადგენს“ (გ. კვარაცხელია). „წინასიტყვაობა“ ბრალს სდებს არნ. ჩიქობავას იმაში, რომ ის „სათანადოდ ვერ აფასებს საბჭოთა ლინგვისტიკას. იგი დღესაც ვერ გამოიჯნულა ინდოევროპეისტიკის პრინციპებისაგან“. „წინასიტყვაობის“ ავტორები, რასაკვირველია, გამომცემლობის მუშაკები არ იყვნენ, მათ კარგად წარმოაჩინეს თავი როგორც ნ. მარის „მარქსისტული“ ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების მიმდევრებმა.

სხვა, ფარული დინებებიც იყო. ამ მხრივ საინტერესოა ერთი დოკუმენტი, რომელსაც საქართველოს არქივში მიაგნო და მისი ფოტოასლი მოგვაწოდა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელმა, ფილოლოგიის დოქტორმა **ს. ჭაავამ**, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებ.

საქმე ეხება 1935 წლის დეკემბრის დოკუმენტს (გრიფით „საიდუმლო“), რომელიც საქართველოს სსრ მთავლიტსა და ცენზურის განყოფილებას გაუგზავნია უნივერსიტეტის გამომცემლობისა და მთავლიტის რწმუნებულისადმი. 67-ე პარაგრაფში („რეალური კონტექსტი და სიტყვის მნიშვნელობა“) არნ. ჩიქობავა ასახელებს ისეთ შემთხვევებს, სადაც რეალური კონტექსტი და სათანადო სიტყვიერი გამოთქმა ერთმანეთს არ შეეფერება. ამის საილუსტრაციოდ ავტორს მოჰყავს რამდენიმე მაგალითი; ერთ-ერთი მათგანის შესახებ წარმოდგენილია ასეთი მსჯელობა: „ქართული სიტყვა „მობრძანდი“ ამჟამად პატივისცემის წარმოდგენას უნდა გულისხმობდეს, მაგრამ, როცა მილიციელი ტრამვაიზე შემხტარ მოქალაქეს შესძახებს: „ჩამობრძანდი, მოქალაქე!“ ანდა „წამობრძანდით მილიციამიო“, ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ ეს თავაზიანი სიტყვები პატივისცემას არ გამოხატავენ“.

ცენზორები აღუშფოთებია ამ მაგალითს. ეს „არასწორ გაგებად“ უნდა ჩათვალოს ავტორს „საბჭოთა მილიციელის მოქალაქისადმი მიმართვის დამოკიდებულებაშიო“. მთავლიტი აფრთხილებს გამომცემლობას, რომ მსგავსი შეცდომები მომავალში არ დაუშვას „პირველადი კონტროლისას“.

„პროპედევტიკის“ შემდგომ გამოცემებში არნ. ჩიქობავა იძულებული გამხდარა, ბოლო ფრაზა ასე შეეცვალა: „ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ ეს თავაზიანი სიტყვები სასიამოვნოდ არ ბგერს“.

„პროპედევტიკა“ საჯარო განხილვის საგანიც იყო. ამ განხილვაზე პროფ. არნ. ჩიქობავა ე. წ. „წითელი პროფესურის“ თავდასხმის საგანი გამხდარა. არნ. ჩიქობავას მისთვის ჩვეული ლოგიკურობით დაუცავს თავი. განხილვა ორ დღეს გაგრძელებულა. არნ. ჩიქობავა გაუთავისუფლებიათ თანამდებობიდან. ადგილობრივი ხელისუფლება მოსკოვს დაკავშირებია: პროფ. არნ. ჩიქობავა ნ. მარის ახალ, მარქსისტულ მოძღვრებას ებრძვის, და როგორ მოვიქცეთო. სახელმწიფო მეთაურს ნ. მარი აუგად მოუხსენიებია...

პროფ. არნ. ჩიქობავა აღადგინეს სამსახურში. არც შემდგომში იყო დიდი მეცნიერის გზა უხიფათო...

სვანეთი და დიალექტური ნიუანსები XIX საუკუნეში მოღვაწე უცხოელ მეცნიერთა (არალინგვისტთა) სვანურ მასალებში

რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების ინიციატივითა და მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის შუამდგომლობით მეცნიერებათა საიმპერატორო აკადემიამ გამოჩენილი აკადემიკოსების: მარი ბროსეს, ანდრეი შიოგრენის, ანტონ შიფნერი-სა და სხვათა მონაწილეობით თითქმის ორი საუკუნის წინ შეადგინა ლინგვისტური თვალსაზრისით ძალზე საყურადღებო კავკასიურ ენათა და დიალექტთა კვლევა-ძიების პროგრამა, რომელშიც მკაცრად იყო ხაზგასმული: „**Учёное исследование языков и наречий Кавказских опасно предоставить не филологам**“, თუმცა იქვეა შედარებით შერბილებული შენიშვნაც: „**Материалы, собранные не филологами, не лишены всякого интереса, потому, что посредством их можно себе представить хоть поверхностное понятие о характере языка и некоторым образом определить сродство отдельных племён между собою**“ (Записки КОРГО, III, 1855, გვ. 245-250).

სწორედ ამ დროს დაიწყო სვანეთში მოგზაურობა და ადგილობრივი რელიეფის, მკვიდრი მოსახლეობის ისტორიის, არქეოლოგიური ძეგლების, ადათ-წესებისა თუ, ნაწილობრივ, ენის შესწავლა პეტერბურგსა და კავკასიაში (მათ შორის თბილისსა თუ ქუთაისში) მოღვაწე არალინგვისტთა აკადემიკოსებმა: **წარმოშობით ფრანგმა** ადოლფ ბერჟემ და **წარმოშობით გერმანელებმა** ივანე ბართოლომემ თუ გუსტავ რადემ. შემდგომში მათ კვალს გაჰყვნენ და საკმაოდ საყურადღებო ნაშრომები გამოაქვეყნეს: **ფრანგმა** რაფაელ ბერნოვილმა (1875 წ.), **ინგლისელებმა**: კლივე ვოლეიმ (1883 წ.), დემეტრიუს პიკოკმა (1887 წ.), დუგლას ფრეშვილდმა (1896 წ.), ოლივერ უორდროპმა (1911 წ.), **გერმანელმა** გოტფრიდ მერცბახერმა (1901 წ.), **უნგრელმა** მორის დეჰმა (1905 წ.) და სხვებმა, რომელთა კვლევებს კავკასიის (კერძოდ კი, სვანეთის) ლინგვოკულტუროლოგიური შესწავლის თვალსაზრისით დღემდე არ დაუკარგავთ მნიშვნელობა, თუმცა, მიუხედავად თავიანთი ღვაწლისა, ზოგიერთი მათგანის სა-

ხელი და გვარიც კი აღარ ახსოვთ ჩვენში, სამწუხაროდ, რაც ძალზე უხერხულია...

ამჯერად ჩვენ შევეხებით ივანე ბართოლომეს ნაშრომს „Поѣздка в Вольную Сванетию в 1853 году“, რომელიც დაიბეჭდა კრებულში „Записки Кавказского отдела Российского географического общества“ (III, Тифлиси, 1855) და რომელსაც მარი ბროსემ „ანტიკვარის მარშრუტი“ უწოდა, ხოლო ადოლფ ბერჟემ – „ჩინებული სტატია“, თავად ავტორი კი მას ძალზე თავმდაბლურად მოიხსენიებდა „სუსტ ოროგრაფიულ ნარკვევად“.

ბატონი ივანე განათლებით **არქეოლოგი** გახლდათ, ამიტომ სვანეთი მისთვის აღმოჩნდა ნამდვილი არქეოლოგიური *terra incognita*. მან დაათვალიერა ყველა ეკლესია-მონასტერი ლატალი – კალის ტერიტორიაზე (ხალდესა და უშგულში უცხოელები სვანებმა არ შეუშვეს თავიანთი სიწმინდეების სანახავად!), გადაიღო 37 საუცხოო ფოტო და გადაიწერა უძვირფასეს ხატებზე, ჯვრებზე, სამკაულებსა თუ ხელნაწერებზე წარმოდგენილი არაერთი ასომთავრული, ნუსხახუცური და მხედრული წარწერა, რომლებიც დაურთო თავის ნაშრომს მარი ბროსეს შენიშვნებითურთ, თუმცა ზოგ საკითხში ის არ ეთანხმება დიდ ენათმეცნიერს.

ივ. ბართოლომე საოცარი განცდებით აღწერს ლენჯერისა და ჰადიშის ეკლესიებში დაცულ ევანგელითა უძვირფასეს პერგამენტზე შესრულებულ ქართულ ხელნაწერებს მოოქროვილი სათაურებით, არაჩვეულებრივი მოხატულობებითა და მინიატურებით; **მართო მათ სანახავადაც კი ღირს სვანეთის მიუვალ, სახიფათო გზებზე მოგზაურობაო** – შენიშნავს იგი და სიამოვნებით მსჯელობს ჯაფარიძეების, ქურდიანებისა თუ მულახ-მუჟალელების მაღალ არისტოკრატიზმზე [არასდროს შევწუხებულვართ მუდმივი ხმაურიანი საუბრებითა და ღრეობებით, მასპინძლებს კი გვიან ღამით ასე ვემშვიდობებოდითო – **хочавлетъ** „კარგი ღამემც [გაქვთ (= გქონდეთ!)],“ ანუ „ღამე მშვიდობისა!“].

ავტორი აღფრთოვანებულია სვანეთის თვალწარმტაცი შემოგარენითა თუ ადგილობრივი მოსახლეობის კეთილშობილებით, სტუმარმასპინძლობით, ალალი გულით, თუმცა არც ზოგი ძალზე უხერხული ეპიზოდი დაუტოვებია უყურადღებოდ, სადაც ის არ ერიდება სვანთა გაკილვასაც შესაბამისი ტერმინებით (неграмотный,

одичалый, полудикий, дикий, кровомщеник, корыстолюбивый,...) და განრისხებულია ამგვარ არაადამიანურ მანკიერებათა (განსაკუთრებით ახლადდაბადებულ გოგონებთან საზარელი დამოკიდებულების) გამო.

სვანური მარხუბები და უძველესი ციხე-კოშკები ივ. ბართოლომეს უსპეტაკესი მწვერვალების (რომელთა შორის ულამაზესსა და იმავდროულად თვალუწვდენელს რატომღაც ყველგან „ელბორუსს“ უწოდებს „იალზუზის“ ნაცვლად!) **ამფითეატრებად წარმოდგენია**, ხოლო თავად სვანეთი ხან კავკასიის ლაპლანდია ჰგონია და ხანაც უმშვენიერესი შვეიცარიის მსგავსი ტერიტორია, ოღონდ იმაზეც ძალიან წუხს, რომ ზოგ მიუვალ სოფელში სვანები მხოლოდ ჭვავის საშინლად შავ და უგემურ პურს ჭამენ, რადგანაც სუსხიანი კლიმატი იქ ხორბალს ვერ ახარებსო.

მკითხველის ყურადღებას უთუოდ მიიქცევს არაერთი ტოპონიმი (სოფლების, მთების, ხეობების, უღელტეხილების, მდინარეების – ნაკადულებისაც კი! – სახელწოდებანი), თუმცა ზოგი მათგანი მცდარადაა ფიქსირებული, მიუხედავად იმისა, რომ ივანე ბართოლომეს თან ახლდა თარჯიმანი (ზოგჯერ – მაგალითად, მესტიაში – ოთხივე კი: რუსულ, ქართულ, სვანურ და ყაბარდოულ ენათა მცოდნენი).

აუცილებლად უნდა შევეხოთ არქეოლოგის მიერ შედგენილ 500 სიტყვიან რუსულ-სვანურ ლექსიკონს, რომელშიც მასალა დალაგებულია არა ანბანთრიგზე, არამედ გარკვეული ბუდობრივი სისტემით. განსაკუთრებით თვალში საცემია ის, რომ ცალკეულ ლექსემათა გვერდით გვხვდება სვანური სინტაგმებიც, ფრაზებიც, სახელთა და ზმნათა მეტად საინტერესო პარადიგმებიც, „მამაო ჩუენო“-ს სვანური ტექსტიც (ყოველ მათგანს ახლავს შესაბამისი რუსული თარგმანი).

ბატონმა ივანემ იმოგზაურა ე. წ. თავისუფალ სვანეთში, ანუ ბალს ზემოთ (სადაც ის რიონისა და ცხენისწყლის ხეობათა გავლით ავიდა ქვემო სვანეთიდან ლატფარის უღელტეხილით), მაგრამ არ ყოფილა ე. წ. სათავადიანო (Княжеская Сванетия), ანუ ბალსქვემო სვანეთში; მიუხედავად ამისა, ზოგჯერ მას ბალსზემოური დიალექტის მონაცემთან შესადარებლად ბალსქვემოური მასალაც მოჰყავს. მაგალითად:

1. **Муравей – Муршкъ**, в кн. Сван. **Мышкъ**.

ანაპტიქსური **g** ხმოვნის **y** ან **ы** გრაფემებით გადმოცემა ჩვეულებრივი მოვლენაა XIX საუკუნეში გამოცემულ რუსულენოვან ნაშრომებში, მაგრამ **x** აშკარა შეცდომაა (შესაძლოა კორექტურულიც!) – ბალსქვემოურად (და ლენტეხურადაც) „ჭიანჭველას“ **მგმკ** ჰქვია;

2. ლექსიკონში მეტად საინტერესო ჩანაწერია „მამლის“ აღმნიშვნელ ლექსემასთან დაკავშირებით, სადაც **Пѣтухъ** არის **Гхвичъ**, ოღონდ სადადეშქელიანო სვანეთში მას **Мамюль** ენაცვლება. ჯერ ერთი, **ყუიჩ** სვანური ენის ყველა დიალექტში იხმარება (შდრ. ქართ. **ყვინჩ**-ილ-ა „მამლაცინწა“), და მეორეც, ზემო სვანეთში **მამილუ** გვხვდება, ოღონდ ბალსქვემოური დიალექტის -**უ** აუსლაუტში ზოგიერთ სოფელში შეიძლება დაიკარგოს. ბატონი ივანეს **Мамюль**, ალბათ, **მამილუ** ფორმისაგან მომდინარეობს უინის მეტათეზისის საფუძველზე (ცხადია, თუ სწორადაა ფიქსირებული ლექსემა!);

3. ზოგჯერ ბალსზემოური და ბალსქვემოური დიალექტებისთვის ლექსიკონში მოყვანილია არამხოლოდ ფონეტიკურად, არამედ ლექსიკურადაც განსხვავებული ვარიანტები:

Ветчина – Лерь, в кн. Сван. **Апехъ**.

ბალსქვემოთ დღესაც **აპეხდ** („შაშხი, აპოხტი“) გამოიყენება, ოღონდ აუსლაუტში მჟღერი თანხმოვნით, ბართოლომეს მონაცემი კი **შესაძლოა ამოსავალი (მკვეთრაუსლაუტიანი) ვითარების ამსახველი იყოს** (ასეთი მაგალითები საკმაოდაა XIX საუკუნეში მოღვაწე უცხოელ მეცნიერთა შრომებში!), რაც ზუსტად ესადაგება აკადემიკოს **ვარლამ თოფურიას** თვალსაზრისს (იხ. სვანური ენა, „შრომები“, ტ. II, 2002: 162) სვანური მჟღერთანხმოვნიანი კომპლექსების მკვეთრთანხმოვნიანთაგან მომდინარეობის შესახებ;

4. **Дитя – Чхынтъ**, в кн. Сван. **Нагъжуръ**.

დღეს **ჰყინტ** მთელ სვანეთში გამოიყენება, **ნად^რყურ** კი – მხოლოდ ზემო სვანეთში...

მოსალოდნელი იყო, რომ ყველა შედგენილ რიცხვით სახელთან ლექსიკონში მითითებული იქნებოდა ბალსქვემოური ფორმებიც, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს საქმე გაცილებით რთული აღმოჩნდა, რადგანაც თვლის ორი სისტემა უპირისპირდება ერთმანეთს დიალექტების მიხედვით – ბალსზემოურში ათეაულთა, ხოლო ბალსქვემოურში – ოცეულთა.

ცნობილია, რომ სოფელი ლატალი ბალსზემოურ და ბალსქვე-
მოურ მეტყველებათა ზღვარზე მდებარეობს, ამიტომ აქ სრულიად
ბუნებრივია სხვადასხვა კილოს ინტერფერენცირებული ფორმები.
ერთ-ერთი მათგანი თვალნათლივ შეუმჩნევია არალინგვისტ მეცნი-
ერს, ვისაც ბალსზემოური კილოკავის შტო-გვარის აღმნიშვნელ სა-
ხელებში, ფილიაციურ წარმოებაში, ბალსქვემოური სისტემაც დაუ-
დასტურებია:

Датуарь (და რა **დათჷშჳრ**), **Мукуарь** (და არა **მუკჷშჳრ**).

რაც შეეხება სოფელ მულახს, აქ ივ. ბართოლომე აზნაურების
(**ჷარგჷლ**): დევდარიანის, იოსელიანისა და ქურდიანის გვერდით
ასახელებს არა ჟორჟოლიანს, არამედ Жоржала-
ძაჲ-ს (ვფიქრობთ, საყურადღებო ფაქტია!).

ათი წლის შემდეგ ბუნებისმეტყველმა და ეთნოგრაფმა
გუსტავ რადემაც იმოგზაურა როგორც ბალსზემო, ისე ბალს-
ქვემო სვანეთში და უშგულურ-ფარული მეტყველების საფუძველზე
შედგენილ **მცირე გერმანულ-სვანურ ლექსიკონში** არა მარტო ერთმა-
ნეთს შეუდარა ამ ორი დიალექტის მონაცემები, არამედ გაითვალის-
წინა ივანე ბართოლომეს მასალაც თავის ნაშრომში „Reisen im
Mingrelischen Hochgebirge und in seinen drei Längenhohtälern (Rion,
Ts'chenis-ts'chali und Ingur“, 1866, სადაც სვანური ფონოტაქტიკის მა-
ხასიათებლებიც (უმლაუტი, ხმოვანთა სიგრძე – ორი ხმოვნით გამო-
ხატული და ზოგჯერ ანაპტიქსური ფონემაც!) კია შენიშნული, რაც
გერმანელისგან (თუნდაც არალინგვისტისგან) სულაც არაა გასაკვი-
რი. ისიც სრულიად ბუნებრივია, რომ ბატონ გუსტავს გაცილებით
მეტი მასალა აქვს სვანეთის ფლორიდან (მათ შორის ისეთიც, რომე-
ლიც არ გვხვდება აკადემიკოს ნიკო მარის ხელმძღვანელობითა და
რედაქტორობით პეტროგრადში გამოცემულ არსენ ონიანის მცირე
ბოტანიკურ ლექსიკონშიც კი!), ვიდრე ბატონ ივანეს. მოვიყვანთ მხო-
ლოდ რამდენიმე მაგალითს ორი უცხოელი მეცნიერის ნაშრომიდან:

1. Blitz (ელვა, მეხი) – mäch (ივ. ბართოლომესთან **მეხჷ**),
როგორც ჩანს, გ. რადეს უშგულური ფორმა (**ä** ხმოვნიანი) აქვს და-
მოწმებული (შდრ. **märe** „ღრუბელი“ რადესეული და **მეჲე** – ბართო-
ლომესეული);

2. Auge (თვალი) **taeralla**, ფარში **táerar** (იგივეა ივ. ბართო-
ლომესთან). თუ **taeralla** სწორადაა ფიქსირებული (**ae**, ალბათ, გრძელ
-ჲ- ხმოვანს გადმოსცემს), მაშინ გ. რადეს უშგულის თემის სოფელ

ჟიბიანში საუკუნენახევრის წინ არქაული ფორმა ჩაუწერია. თანამედროვე **თერალ** („თვალეზი“ და არა „თვალი“), სპეციალისტთა აზრით, ***თერ-ალ-ა-ე** დან უნდა მომდინარეობდეს;

3. O h r e n (ყურეზი) **tschimrale**, ფარში **schtimrar**, ივ. ბართოლომესთან **пшхрарь**. პირველ მონაცემში მექანიკური შეცდომა – **schtimrale** უნდა ყოფილიყო, ხოლო თავად მასალა (გუსტავ რადესიცი და ივანე ბართოლომესიცი) გვიჩვენებს არქაულ ვითარებას როგორც მკვეთრთანხმონიანი (**შტ-**) კომპლექსის, ისე სახელობითი ბრუნვის **-ე** მორფემის დაცვის თვალსაზრისით (**შდრ.** თანამედროვე **შდგმრალ** <***შტიმ-არ-ალ-ე**). ფარისა და ივ. ბართოლომეს მონაცემებში დაცულია მრავლობითობის **-არ** მორფემის ამოსავალი (უდისიმილაციო) ფორმა...

დანარჩენ არალინგვისტ უცხოელ მკვლევრებზე სხვა დროს ვიმჯგელებთ, ამჯერად კი გვინდა გავიმეოროთ ჩვენი მოძღვართმომღვრის აკადემიკოს **არნოლდ ჩიქობავას** სიტყვები: „გასაკვირი შეცდომები კი არ არის, არამედ ის, რომ მეტი უზუსტობა არ დასტურდება“ (იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, 1965: 111) ევროპელ მეცნიერებთან, რომელთა უმრავლესობამ არც ერთი კავკასიური ენა არ იცოდა. რასაკვირველია, ისინი ვერ შეადგენდნენ იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-შედარებით ლექსიკონებს (ამის შესახებ დეტალურად იხ. Арн. Чикобава, Сравнительный словарь и родство языков, Учёные записки, I, Майкоп, 1957: 69-76), თუმცა ზოგი მათგანი შეეცადა, ჩაბმულიყო ამ საქმიანობაში, მაგრამ მათი მასალები უთუოდ გამოგვადგება დიაქრონიულ ჰორიზონტთა წიაღში...

არალინგვისტ უცხოელ მეცნიერთაგან კავკასიურ ენათა (მათ შორის სვანურის) კვლევის თვალსაზრისით თავი ისახელა აკადემიკოსმა **პეტრე უსლარმა**, რომლის „შრომები არ ძველდება“ (ჩიქობავა, 1965: 186), მაგრამ ჩვენ მათ ამჯერად არ ვეხებით, რადგანაც ბრწყინვალე სამხედრო ინჟინრის ღვაწლი დიდებულადაა შეფასებული კავკასიოლოგიაშიც, განსაკუთრებით არნოლდ ჩიქობავას და ალექსანდრე მაჰომეტოვის მონოგრაფიებში...

ენის ფილოსოფიის საკითხები შოთა ნიშნიანიძის ბელეტრისტულ პოემაში „მუსიკის აპოლოგია“

ენა სიტყვის დიდოსტატთა განსაკუთრებული ინტერესის ობიექტია ყოველთვის და ეს ინტერესი სრულიად ბუნებრივად გაცხადებულია მათსავე შემოქმედებაში. ამასთან, დამოუკიდებელ საკითხებს წარმოადგენს, ერთი მხრივ, თავად მხატვრული ნაწარმოებების ენა, ასევე შემოქმედის ფარული თუ ცხადი ნაფიქრ-ნააზრევი ენის შესახებ მიმოხილული საკუთარ შემოქმედებაში და, მეორე მხრივ, უშუალოდ ხელოვნების და, მით უფრო, სიტყვის ხელოვნებისა და ენის არსისადმი საგანგებოდ მიძღვნილი ნაწარმოებები.

შოთა ნიშნიანიძის ბელეტრისტული პოემა „მუსიკის აპოლოგია“ (შოთა ნიშნიანიძე-90, საიუბილეო კრებული, თბ., 2019) საგანგებოდ ხელოვნების არსის, საზრისისა და გამოხატვის ფორმათა ნაირგვარობის პრობლემატიკას ეძღვნება, რომელთაგან პოეტისათვის უმთავრესია მუსიკა. პოეტი წერს:

„დღემდე ბავშვურად მაინტერესებს:
რომელი უფრო მაღალი რანგის ნიჭიერებაა
მუსიკა,
მხატვრობა,
ქარდაკება თუ
პოეზია?“

ამ ინტერესზე შემოქმედის გულწრფელი პასუხია მთელი პოემა – „მუსიკის აპოლოგია“ – ერთგვარი პოეტური კონცეფცია ძირითადი თეზით: „მუსიკა ღვთაებრივი ფენომენია“. საგულისხმოა პოეტის აზრი, რომ მას, როგორც სიტყვის მსახურ კაცს, მუსიკის ფენომენი უფრო აოცებს, რამდენადაც მისივე ღრმა რწმენით:

„მუსიკა უფრო წილნაყარია საიდუმლოებასთან, მისტიკასთან,
ვიდრე ნახატი,
ლექსი
ან ქანდაკება“.

პოემაში წარმოდგენილ კონცეფციაში მუსიკის პრიორიტეტულობის ფონზე კიდევ უფრო საინტერესოა პოეტის დამოკიდებულება სიტყვის ფენომენისადმი, სიტყვიერი ხელოვნებისადმი; საკითხ-

თა ეს წყება ენის ფილოსოფიის სფეროს მიემართება და მრავალფეროვანია (ბიბლიის ავტორიტეტით დაწყებული და ენის ესთეტიკური ფუნქციის ნაირგვარი გამოვლინებით არსებული). პოეტური კონცეფცია გვამცნობს, რომ სიტყვით სახიობა შემოქმედებითი ძიებების გზაზე უსასრულოა, რამდენადაც:

„სამყარო სავსეა ხმაურით,
ქაოტური ხმებით,
ანტიმუსიკით“;
„სიტყვა მართო სიტყვა არაა,
სიტყვა რაღაცის საიდუმლო ანაბეჭდიცა“;
„თუმცა სიტყვაც თავისთავად მუსიკალური ფრაგმენტია“.

მ ე რ ა ბ ჩ უ ხ უ ა

შენიშვნები სვანურის ბრუნვათა შედგენილობაზე

1. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ერგატიული ბრუნვისათვის სვანურში ორი მარკერია ძირითადი: **-დ** და **-ემ**. ჯერ კიდევ ენის შესწავლის ადრეულ ეტაპზე გამოირკვა, რომ **-ემ** ბრუნვის ნიშნის დისტრიბუცია მეტად შეზღუდულია სვანურში. როგორც მიიჩნევენ, ის გავრცელებულია უმთავრესად ბალსქვემოურ დიალექტში და წარმოშობით ადიღური ენების კუთვნილებაა (სიმ. ჯანაშია). მოგვიანებით დადგინდა, რომ ზოგ სახელთან **-ემ** ერთადერთია, მაგ. ჩი-**ემ** „ყველამ“ (ა. ონიანი, ზ. ჭუმბურიძე). სახელთა ბრუნების პარადიგმათა შედარებითი შესწავლით კიდევ ერთხელ ცხადი ხდება, რომ **-ემ** ერგატივს ისტორიულად მეტი ფუნქციური დატვირთვა ჰქონდა სვანურის ყველა დიალექტში, რიცხვითი სახელებისა და ზედსართავების ბრუნებისას იგი ერთადერთია, ისევე, როგორც ჩი-**ემ** „ყველამ“ ნაცვალსახელში: მახე-**ემ**-იმ / მახ-**ემ**-იმ „ახლისა“, არა-**მ**-იმ „რვისა“, მე-არ-**ემ**-ი ნათი „მერვედი“, შდრ. ასევე მარ-**ემ**-იმ „კაცისა“ ყველგან, მთელს სვანურში, მაშინ, როდესაც მარე-**ემ** / მარ-**ემ** „კაცმა“, როგორც ერგატიული ბრუნვის ფორმა, დამოუკიდებლად მხოლოდ ზემოსვანურშია დამოწმებული. უფრო მეტიც, ვვიქრობთ, სვანური **-ემ** ერგატივი საერთოქართველური ბრუნების ორგანული

ნაწილია, რომელსაც მატერიალურ-ფუნქციური შესატყვისები, ადი-
ლურთან ერთად, დადესტნურ ენებშიც გამოუჩნდება, შდრ. ხვარშ.
ო^{ნგ}-მო „ნაჯახმა“, არჩ. ბოშორ-მუ „კაცმა“... ასე რომ, სვანური -ემ
ერგატივის ადლურიდან სესხების თეორია საბოლოოდ უნდა გამოი-
რიცხოს.

2. სვანურის -დ ერგატივზე კი შევნიშნავთ, რომ მისი ეტიმო-
ლოგიური ერთიანობა ვითარებითი ბრუნვის -დ ნიშანთან და მსჯე-
ლობა ერგატივ-ტრანფორმატივის შესახებ სვანურში (გ. კლიმოვი,
კ. დონდუა, თ. შარაძენიძე) არ არის მხარდაჭერილი ფაქტობრივი
მდგომარეობით, რასაც კარგად აჩვენებს -ელ სუფიქსიანი ზედსარ-
თავეების ბრუნება სვანურში, შდრ. სვან. ერგ. ჯ^{ტინ}ელ-დ „ძველმა“,
მაგრამ ჯ^{ტინ}ნლ-დ „ძველად“, როცა ე → ჯ უკუუმლაუტი ამოსავალი
-ად მარკერისეული ა ხმოვნური შემადგენლის რედუქციის საკომ-
პენსაციო კვალია, ანუ ერგ. -დ ~ ვით. -დ მორფოლოგიური ომონი-
მია ჩანს სვანურში და ამოსავალი ერგ. *-დ ~ ვით. *-ად კორელაციის
მომდევნო საფეხურს ასახავს. ამავდროულად, სვანურ -დ ერგატივს
ასევე -დ ერგატივი შეესატყვისება დადესტნურში (შდრ. ხუნძ. ბაჭი-
დ „მგელმა“), მაშინ, როდესაც ვითარებითი ბრუნვა, ქართულივით,
ასევე გახმოვანებულია დადესტნურში, შდრ. თაბას. მანი-დი „თბი-
ლად“, ზარბ-დი „სწრაფად“...

ს ო ფ ი კ ო ქ ა ა ვ ა

**სტუდენტების – ბენედიკტე ჩიქობავასა და
ვარლამ თოფურიას სამეცნიერო მოგზაურობები
სამეგრელოში 1920 წელს**
(საარქივო მასალების მიხედვით)

საქართველოს ეროვნულ არქივის უახლესი ისტორიის ცენ-
ტრალურ არქივში დაცულია მასალები, კერძოდ, სტუდენტების ბე-
ნედიკტე ჩიქობავასა (იგულისხმება აკად. არნ. ჩიქობავა - ს. ჭ.) და
ვარლამ თოფურიას საანგარიშო მოხსენებები, რომლებშიც აღწერი-
ლია მათი სამეცნიერო მოგზაურობა სამეგრელოში.

საკვლევი საარქივო მასალებით ირკვევა, რომ 1920 წლის ზაფხულში სტუდენტები ბ. ჩიქობავა და ვ. თოფურია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავალებით (უშუალოდ, აკ. შანიძის ინიციატივით) სამეგრელოში ჩავიდნენ პროფ. იოსებ ყიფშიძის მიერ შედგენილი მეგრული ლექსიკონის შესავსებად და შესამოწმებლად. ვ. თოფურიას ევალეზოდა სალექსიკონო მასალების „ა“-დან „მ“-ასომდე შემოწმება, ხოლო ბ. ჩიქობავას - „ლ“-დან ბოლომდე.

სტუდენტ ვ. თოფურიას სამუშაო არეალად 4 ცენტრი შეურჩევია, კერძოდ: **ზანმა, მარტვილი, სალხინო და კურზუ. ზანმაში** მას შემდეგი სოფლები მოუვლია: ჯოლო, თარგამული, სერგიათი და ბობოთი; **მარტვილში**: ნაგვაზაუ, ნახარებოუ, ლეციცხვაიე, ზედა და ქვედა ხუნწი, ნალეფსოუ, ლეზაჩილე, საელიავო და ინჩხირი; **სალხინოში**: სკურდი, ბარდა, ლეცეე, ვახა, ჭაცხურუ, ჟინოთა, ხვანჭკორი, თამოკო, ოჩე და ტალერი; **კურზუში**: ღალი, დღვანა და გოდოვანი.

ბ. ჩიქობავა სამეცნიერო ექსპედიციის დროს ძირითადად მუშაობდა **ზუგდიდის მაზრაში, ჯვარში, ჭკადუაშში, ლედგებიეში და ნაწილობრივ, ძველ სენაკში.**

ორივე მათგანი თავიანთ ანგარიშებში მიუთითებენ, რომ საკვლევი მასალის მოპოვება რთული იყო უკიდურესი სიღარიბის, შიმშილობის, უმუქობის და სხვა ელემენტარული საარსებო პირობების არარსებობის გამო (ვ. თოფურია დაბინავებული იყო ნახევრად ჩაბნელებულ საკლასო ოთახში - ს. ჭ.). ბ. ჩიქობავას განმარტებით, ამ ყველაფერს ემატებოდა ზოგიერთი ინტელიგენციის წარმომადგენლის მიერ „მაფალუიზმის“ გავლენით შექმნილი მოსახლეობის დამოკიდებულება მეგრული ენის კვლევისადმი, რაც კიდევ უფრო აბრკოლებდა სამეცნიერო მუშაობის სრულყოფილად წარმართვას. ზემოაღნიშნული სირთულეების მიუხედავად, საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ სანიმუშო სტუდენტებს სრული პასუხისმგებლობით უმუშავიათ, სათანადო საკვლევი ძვირფასი მასალაც მოუძიებიათ და ვრცელი საანგარიშო მოხსენებებიც წარუდგენიათ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტისთვის.

ვ. თოფურიას ზოგადად შეუმოწმებია ლექსიკონი, ჩაუწერია ბევრი ლექსი, 15 არაკი, 130 ანდაზა, 60 გამოცანა, 40 შელოცვა, 330 მეგრული გვარი, 200 არაქრისტიანული საკუთარი სახელი, 50-ზე მეტი სახელი, 30 სალოცავი („ოხვამერი“), სოფლების, მთების, ველების,

მდინარეების და სხვათა სახელწოდებები და მათი ხალხური ეტიმოლოგია; შეუდგენია „მოხელეთა“ სიები, ჩაუწერია სიტყვები კუთხეების მიხედვით; ამასთანავე, აღუწერია ეთნოგრაფიული ნივთების შემადგენელი ნაწილები, ე. ი. ყველაფერი, რაც საჭირო იყო „ენის სისრულისათვის“. ვ. თოფურის თქმით: „ვცდილობდი რაც შეიძლება ღრმად ჩავსწდომოდი და ამომეწურა ის, რასაც ფრიადი მნიშვნელობა აქვს ლინგვისტიკისათვის. რომ საშუალება მქონოდა შესასწავლად და გასაცნობად არა მარტო დღევანდელი მეგრული ენის ფიზიონომიისა, არამედ წარსულისაცა, და ამოსაღებად მისი მდიდარი სალაროდან მნიშვნელოვანი ფორმა-სიტყვათა, რომელიც ქართულის გავლენით დიდი ხანია მივიწყებას მისცემია და ადგილი სხვისათვის დაუთმია. ამიტომ ვცდილობდი, რომ ძველი სახე მეგრული ენისა ცოტათი მაინც აღდგენილიყო“ [სეა, უიკა, ფ. 471, ან. 6, N7). ამ ყველაფრის გარდა, ვ. თოფურის შეუმოწმებია არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერა“, ჩაუნიშნავს არქეოლოგიური ნაშთების ადგილმდებარეობა, ასევე ჩაუწერია ეკლესიებისა და ხატების წარწერები.

სამეცნიერო მივლინების დროს ბ. ჩიქობავას ლექსიკონის შემოწმების გარდა, აღუწესხავს 400-მდე ახალი სიტყვა, 200-მდე მამაკაცის მეგრული სახელი და სხვადასხვაგვარი მასალა (200 გვერდამდე, უმეტესად ლექსები). გარდა ამისა, ბ. ჩიქობავა აკვირდებოდა და ინიშნავდა მეგრულის კილოებსა და კილოკავებში მიმდინარე სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესებს.

ჩვენ მიერ მოძიებული საარქივო მასალებით ცხადად ჩანს ახალგაზრდა მეცნიერების დიდი პასუხისმგებლობა, პროფესიონალიზმი და თავდადება საქმისადმი. შესაძლოა, ეს იყო მათი პირველი სამეცნიერო ექსპედიციები, რომლებსაც დამოუკიდებლად წარმართავდნენ. ახალგაზრდული ასაკისა და ჯერ კიდევ მცირე გამოცდილების მიუხედავად, მათი ანგარიშები არ ჩამოუვარდება გამოჩენილი მეცნიერების მიერ შესრულებულ მოხსენებებს. 1920 წელს სამეგრელოში სამეცნიერო ექსპედიციებზე ბ. ჩიქობავასა და ვ. თოფურის მიერ მოპოვებული უნიკალური და მნიშვნელოვანი მდიდარი მასალა, უდავოდ, დიდი მონაპოვარი იქნებოდა ქართველოლოგიური კვლევებისათვის (სტუდენტების მიერ შედგენილი ვრცელი ანგარიშები ჯერ-ჯერობით არ შეგვხვედრია კვლევის პროცესში და მათი მოძიების იმედით ვაგრძელებთ მუშაობას).

ზოგი „საბავშვო“ სიტყვის ისტორიისათვის

ბავშვთა ენაში ხშირად დასტურდება ბავშვთა აღმზრდელე-ბის, ანუ „გადიების ენის“ ლექსიკა. ასეთი სიტყვები უმეტესად დიდების საერთო ტრადიციული ენიდან მომდინარეობენ, დიალექტებში სხვადასხვა ფონეტიკური სახით გვხვდება და საუბრულ ელფერს ატარებს. გასათვალისწინებელია სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელი ეკონომიის პრინციპიც. მაგ.:

ნატკენი, ტკვილი, სატკივარი: ფია (იმერული), ფუა (ჯავახური), ფიფია (იმერული), ფუფუა (ქართლური, კახური.), ფუფაი (აჭარული), ფუფულა (გურული).

ვფიქრობთ, რომ ზემოდასახელებული სიტყვები მომდინარეობს სიტყვიდან ფუფული /ფოფოლი /ფუფულა „გართხმული მუწუკი“ (საბა).

ბავშვის საჭმელი თხელი ფაფა: ფიფია, ფია, ფუა (ქართლური, ქიზიყური). შდრ.ფიფინა ბრინჯის ფაფა (საბა, დ. ჩუბინაშვილი).

რძე: ზიზილად რძე (შავშური), ზიაცრ (თუშური). ეს სიტყვა რედუპლიცირებულია. შდრ. სძე > რძე > ზე .

ყველაფერი ის, რის ხვრებით ჭამა შეიძლება || რძე (თხისა ან ძროხის): დუა (ხევსურული, ფშაური). შდრ. დო ნადღვები მაწონი უცხიმო – დ. ჩუბ.

ახალი, ლამაზი, ჭრელი რამ (ტანისამოსი, ფეხსაცმელი...): ზი-ზია (ქეგლი). შდრ. ზინზილი ქალის სამკაული, ზიზილ-პიპილო (ფშ. ხორნ.).

აკვანი: კაკანა (ქართლ.) – ქეგლი. კაკანა არის აკვანი სიტყვის სახესხვაობა (ბავშვთა ენაზე) და „მოკაკანე“-ს აღმნიშვნელ სიტყვასთან არის ომონიმურ ურთიერთობაში (ბ.ფოჩხუა).

თბილი ტანსაცმელი ბავშვის ენაზე: ფუფუაი, ფუფუნა ტანის ჩათბუნება, თბილად ჩაცმა (ზედმეტად). აქედან ჩაფუფნული (ჯავახ. ბერ.). ვფიქრობთ, რომ ფუფ- < ფუთ-; ფუთნა თბილად ხვევა (ქეგლი).

წაყვანა, გასეირნება: ატა, ატა-ატა (გარეკახური, თუშური). შდრ. ტაატ-ი ახლად ფეხადგმული ბავშვის სიარული – ქეგლი.

**დენდრონიმი „ალვა“ და მისი მრავალფეროვანი
სინონიმების ასახვის საკითხი „მცენარეთა
სახელების კრებისით ლექსიკონში“**

ქართველურ ფიტონიმთა მდიდარ და მრავალფეროვან მასალაში ხემცენარეთა სახელებს (დენდრონიმებს) მკაფიოდ გამოარჩევს იმ მახასიათებელთა ერთობლიობა, როგორცაა: უძველესი წარმოშობა; გაუმჭვირვალე სემანტიკა; კილოურ სინონიმთა არარსებობა (მცირე გამონაკლისის გარდა); შესატყვისობები ქართველურ ენებში; აღნიშვნის მკაფიოობა - ყოველი დენდრონიმი კონკრეტულ ხემცენარეს (ძირითადად, მის გვარს) აღნიშნავს. უკანასკნელი მახასიათებელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლექსიკონებში ამ დენდრონიმთათვის კუთვნილი ადგილის მისანიჭებლად.

დენდრონიმთა ლექსიკოგრაფიულმა აღწერამ გამოავლინა, რომ ზოგიერთი სახელი განსხვავებულ ხემცენარეებს აღნიშნავს. ეს შეინიშნება არა მხოლოდ ძველ ლექსიკონებში, არამედ ქართულ სამწერლობო ენასა და დიალექტებშიც. სათანადო ჩამიების შედეგად ამის ახსნა შესაძლებელია. მიზეზი შეიძლება სხვადასხვა იყოს.

ამჯერად გვანტერესებს დენდრონიმი **ალვა**. ის დასტურდება სხვადასხვა ფორმითა და დაწერილობით, შდრ.: **ალვის ხე** (საბა, დ.ჩ., ზ.ყ., ქეგლ), **ალვისხე** (ნ.ჩ.), **ალვის-ხე** (რ.ე.), **ალვა** (დ.ჩ., ვმლ, ქეგლ); დიალექტები: *თუმ.* **ალვი** (ა.დ.), **ალი**, **ალის ხე** (გ.ც.); *ქართლ.* **ავლი ხე** (ქდ); *ქიზ.* **ალმი ხე** (ს.მ.); *ფერეიდ.* **ალვის ხე** (ფდკლ); *ზ.-იმერ.* **ავლისხე** (ქ.ძ.); *ზ.-იმერ., რაჭ.* **ავლისხე** (ქ.ძ., ა.კ.); *ქვ.-იმერ.* **ალის ხე** (ნ.შ.)...

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით, **ალვა** სამ სხვადასხვა ხემცენარეს აღნიშნავს, შდრ.: „**ალვა**¹ (**ალვისა**) 1. [*Populus gracilis*] მაღალი და კოხტა ხე, ტანწერწეტა, აქვს ვიწრო პირამიდული ვარჯი... 2. *ძვ. კვიპაროსი*. 3. *კუთხ.* (მესხ. ჯავახ.) **ჭადარი. ალვის ხე**...“ (ქეგლ 2007).

ვიზიარებთ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ **ალვა** თავდაპირველად ერთგვარი ეპითეტი იყო და ხემცენარის ვარჯის პირამიდულობას აღნიშნავდა, შდრ.: „ალვა“, „ალვის ხე“, „სარი“, „კვიპარი“, „კვიპაროზი“ და „კვიპაროზი“ [ძველ ქართულში] სინონიმებადაა ნახმა-

რი და უმთავრესად წერწეტს, ტანწვრილს, ტანმაღლა აყრილსა და მოხდენილს გამოხატავს“ (ვ. მირზაშვილი 1936).

სხვადასხვა წყაროებში სინონიმებადაა წარმოდგენილი დენდრონიმები: **კვიპაროსი, კვიპარი, ალვა, ალვის ხე, ჭადარი, სარო, ჩინარი, ყავადი, მირონის ხე, ხეთუფალა...**

სათანადო ენობრივი ანალიზისა და ბოტანიკური, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალის გათვალისწინებით მოვახდინეთ თითოეული ამ სახელის მნიშვნელობის დაზუსტება, მათი ურთიერთიმართების დადგენა, რის საფუძველზეც განისაზღვრა აღნიშნულ დენდრონიმთა ადგილი „მცენარეთა სახელების კრების ლექსიკონში“.

ც ი რ ა ჯ ა ნ ჯ ღ ა ვ ა , თ ა მ ა რ ლ ო მ თ ა ძ ე ,
მ ა კ ა თ ე თ რ ა ძ ე

რატომ არის აუცილებელი ებრაელთა ქართულის დოკუმენტაცია?¹

მსოფლიოში არსებული დაახლოებით 7000 ენიდან დღესდღეობით ნახევარი საფრთხეშია. ამათგან რამდენიმე არის ებრაული მეტყველება. უამრავი მიგრაციის, ასიმილირებისა თუ ენობრივი პოლიტიკის შედეგად ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში მანამდე საკმაოდ მყარი ებრაული დიასპორების ენები/ენობრივი სახესხვაობანი დღეს საფრთხის წინაშეა. მათ შორისაა ქართველ ებრაელთა მეტყველებაც, რომელსაც მკვლევრები „ებრაელთა ქართულის“ სახელით მოიხსენიებენ.

კარგა ხანია აღიარებულია ამ ენობრივი სახესხვაობების დოკუმენტირების აუცილებლობა.

დიგიტალური ჰუმანიტარიის განვითარებამ და ენათა და კულტურათა ელექტრონული დოკუმენტირების საშუალებების გაჩენამ სრულიად ახალი პარადიგმა შექმნა ჰუმანიტარულ მეცნიერებაში. ცხადად გამოიკვეთა, რომ მეცნიერება XXI საუკუნეში უახლესი

¹ ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. გრანტის ნომერი FR-21-20266 საფრთხეში მყოფ ენათა დოკუმენტაცია: ებრაელთა ქართული.

ტექნოლოგიური საშუალებებით მოპოვებული ინტერდისციპლინური კვლევის რესურსების შექმნას მოითხოვს (გაპერტი 2006; ოსტინი 2006; თანდაშვილი 2015).

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ქართველი ებრაელები იწყებენ ისრაელში რეპატრაციას. დღეისათვის საქართველოში დაახლოებით 1200-მდე ებრაელი ცხოვრობს, მაგრამ მათს მეტყველებაში თითქმის აღარ ჩანს ებრაელთა ქართულისათვის დამახასიათებელ თავისებურებები. რაც შეეხება ისრაელში რეპატრირებულებს, მათი უფროსი თაობა ჯერ კიდევ იყენებს აღნიშნულ ნაირსახეობას. ახალგაზრდა თაობა კი ქართულს და, ამავე დროს, ებრაელთა ქართულს თითქმის აღარ სწავლობს. სწორედ ამიტომ დასახელდა ებრაელთა ქართული საფრთხეში მყოფ ებრაელთა ენებს შორის. შესაბამისად, მასალის ჩაწერა და დოკუმენტირება საჩქარო და გადაუდებელი საქმე გახდა.

ებრაელთა ქართულის დოკუმენტირებისას თავს იჩენს პრაქტიკულ, კულტურულ და ეთიკურ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები. მაგალითად, პრაქტიკულიდან შეიძლება დავასახელოთ მასალის ჩაწერასთან დაკავშირებული რამდენიმე სირთულე: რესპოდენტების მოძებნა (ებრაელები თავს არიდებენ კამერის წინ საუბარს), ენების ცოდნა (ინტერვიუს ჩაწერისას საჭიროა კარგად იცოდეს სტანდარტული ქართული, ქართულის დიალექტები, ებრაული და სხვადასხვა „ებრაული ენა“). განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება ინტერვიუს სტრუქტურას, მეტამონაცემებს (რესპოდენტის გვარი და სახელი, ენობრივი ბიოგრაფია, საცხოვრებელი და მიგრაციები, სოციალური განზომილებები და სხვა); კულტურული ასპექტებიდან შეიძლება დავასახელოთ განსხვავებულ სიტუაციებში განსხვავებული მეტყველების ფორმების არსებობა და ამის დაფიქსირება, რელიგიასა და ტრადიციებთან დაკავშირებული ლექსიკური თავისებურებების წარმოჩენა. ქართველი ებრაელები სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს განეკუთვნებიან და როცა შენ არა ხარ მათი ჯგუფის წევრი, ძნელია წაახალისო ინტერვიუსათვის; როგორ უნდა განასხვავო ძველი ებრაულიდან იყენებს ნასესხობას თუ ამა თუ იმ სიტყვის გამოყენება თანამედროვე ებრაულის გავლენა; ეთიკური ასპექტის გათვალისწინებისას ეთიკურ კომიტეტებსა და ინსტიტუციებთან ურთიერთობის ნაკლები გამოცდილება. ტრადიციულად, ჩვენთვის ჯერ კიდევ საკმარისია რესპოდენტის თანხმობა ინტერნეტსივრცეში მისი ინტერვიუს განთავსების თაობაზე.

აღნიშნული გამოწვევების გათვალისწინებით, ებრაელთა ქართულის დოკუმენტირება მოხდება დოკუმენტური ლინგვისტიკის მოთხოვნების შესაბამისად. იგულისხმება ის, რომ პირველადი მონაცემების შეგროვებისას (resp. ჩაწერისას) დაცული იქნება ჩაწერის სტანდარტი, აქცენტი გაკეთდება ენის ბუნებრივ სიტუაციებში გამოყენებაზე და თემატურად შეირჩევა ისეთი ღონისძიებები, რომლებზეც საკვლევი საზოგადოების კულტურული და სოციალური თავისებურებანი წარმოჩინდება: შეკითხვები ისე იქნება აგებული, რომ რესპონდენტისაგან ებრაელებისათვის ნიშანდობლივ ტრადიციებზე, ადათ-წესებზე, რელიგიურ დღესასწაულებს და ა. შ. გაბმული თხრობის ნიმუშებს მივიღებთ. გარდა გაბმული თხრობის ნიმუშებისა, ჩაიწერება დიალოგები, რითაც წარმოვაჩინოთ მოსაუბრეების შიდაენობრივ ვარიაციებს, რადგან ისინი განსხვავებული აუდიტორიისათვის განსხვავებულად საუბრობენ. დამატებით, დაგეგმილია რესპონდენტებთან პირისპირ ინტერვიუებიც წინასწარ შემუშავებული კითხვარების მიხედვით, რათა გავარკვიოთ, მეტყველებაში გამოყენებული ებრაული ლექსიკა ისტორიულად იხმარებოდა, როგორც ძველი ებრაულიდან ნასესხები, თუ ივრითის ან სხვა ებრაული ენობრივი ვარიანტების ნასესხობას წარმოადგენს.

ჩაწერილი პირველადი მასალის დამუშავებისას გათვალისწინებული იქნება ის რეკომენდაციები, რომლებიც გაიცემა თანამედროვე დოკუმენტური ლინგვისტიკის სფეროში, კერძოდ, მეტადოკუმენტირების პრინციპები და თეორიზაცია, რა სად და როგორ დოკუმენტირდება (ვუდბერი 2014).

იმისათვის, რომ მასალა მეცნიერთა ფართო სპექტრისათვის სანდო და გამოსადეგი იყოს, მივუთითებთ ისეთ მეტამონაცემებს, როგორებიცაა: მოსაუბრის ასაკი, სქესი, დაბადების ადგილი, საცხოვრებელი ადგილი, განათლება, სამუშაო ადგილი, ენების ცოდნა, რელიგია და სხვა სოციალური განზომილებები.

გაკეთდება ჩანაწერების ბაზა სტანდარტული მეტამონაცემებით, როგორებიცაა:

- დოკუმენტის ფორმატი (wav, mpeg, pdf, eaf და სხვ.)
- ჩაწერის თარიღი
- ხანგრძლივობა
- ენები, რომლებიც ჩანაწერშია (ქართული, ებრაული, რუსული და ა. შ.)

- ჩამწერის ინიციალები
- დოკუმენტის შემქმნელის ინიციალები
- სათაური
- დოკუმენტის ტიპი (ინტერვიუ, ისტორიული აღწერა, გაბმული თხრობა და ა. შ.).
- დოკუმენტის შინაარსის მოკლე აღწერა და ა. შ.

გარდა ზემოაღნიშნული მონაცემებისა, აუცილებელი იქნება ერთმანეთთან დაკავშირებული დოკუმენტების იდენტური დასათაურება და აღწერა.

ჩაწერისას დაცული იქნება ეთიკის ნორმები. დოკუმენტირებისას განსაკუთრებულ ყურადღებას გავამახვილებთ მათ თანხმობაზე მასალის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, ხოლო უკვე არსებული მასალების დოკუმენტირებისას შესაძლებლობის ფარგლებში დავუკავშირდებით მათ შთამომავლებს.

ჩაწერილი მასალა დამუშავდება ენის დოკუმენტირების თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით (ჰიმელმანი 1998, ვუდბერი 2014). სანიმუშოდ აღებული გვაქვს SOAS-ის საფრთხეში მყოფი ენების არქივი და ვითვალისწინებთ იმ რჩევებს, რომლებიც პროექტზე მუშაობისას მოგვაწოდეს არქივის თანამშრომლებმა.

პირველადი მასალა გაიშიფრება ELAN-ის მეშვეობით და ELAN-ის დოკუმენტები ტრანსფორმირდება FLEX-ში, სადაც ტექსტები ანოტირდება. მორფოლოგიური ანოტირება გულისხმობს გრამატიკული მახასიათებლების გამოყოფას, გლოსირების საერთაშორისოდ აღიარებული სახელმძღვანელო წესების მიხედვით ძირაფიქსთა კვალიფიკაციას (გამოვიყენებთ ლაიფციგის გლოსირების სტანდარტს). მორფოლოგიური ანოტირების გარდა, დაემატება ლათინური ტრანსკრიფცია და ტექსტის ქართულ სალიტერატურო ენაზე განმარტება. FLEX-ის მეშვეობით ავტომატურად დაგენერირდება ლექსიკონები.

როგორც ცნობილია, ებრაელთა ქართულის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია სპეციფიკური ინტონაცია, გათვალისწინებულია ამ მოვლენის სპეციალური პროგრამული შესწავლა: ELAN-ში დამუშავებული სანიმუშო მასალის გადატანა Praat-ში და მისი აკუსტიკური ანალიზი სალიტერატურო ქართულთან ინტონაციური სხვაობის სურათს მოგვცემს.

გარდა ახალი მასალისა, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია უკვე ჩაწერილი ძველი, 1940 წლის ტექსტების (იგულისხმება როზა თავდიდიშვილის ტექსტები) გლოსირება და დამატებითი ანოტირება FLEX-ში და შედარებით ახალი, 2016-2019 წლებში ჩაწერილი აუდიო და ვიდეო ჩანაწერების გაციფრულებული მასალის ტრანსკრიბირება, ქართულ სალიტერატურო ენაზე განმარტების მიწერა და გლოსირება უნიფიცირებული მეთოდით.

შედეგად მივიღებთ ციფრულ არქივს, რომელიც უპასუხებს ენის დოკუმენტირების თანამედროვე სტანდარტებს და ადვილად ინტეგრირებადი იქნება ნებისმიერ კორპუსსა თუ საერთაშორისო ბაზაში.

ტექნიკური რედაქტორი **ლ. ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **თ. გაბროშვილი**